ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 10 იანვარი, 2019 №7 (7862) ფასი: 60 თეთრი

## ტრაგედია ვაკეში

### სასწრაფოს მანქანა ტროტუარზე აქსის თაუერის მუშებს დაეჯახა



გვ.7

1 ადამიანი დაიღუპა, 12 დაშავდა

10 იანვრიდან

რომან გვენცაძე

საბედისწერო გასროლა

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




# პროკურატურა თიბისის წინააღმდეგ:

## „ვიძიებთ 2008 წელს 17 მილიონი დოლარის სესხის „სამგორი თრეიდისა“ და „სამგორი M“-ისთვის გაცემას“



დაკითხული არიან მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და ავთანდილ წერეთელი

გვ.7

ეროვნულმა ბანკმა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლა საკითხი და აღმოჩენილ დარღვევებზე მოახდინა შესაბამისი რეაგირება.



# „ივანიშვილს საქართველოში კანაფის პლანტაციებს არ გავაშენებინებთ“



ზვიად კუპრავა:
„შსს იძულებული გავხადეთ გამოძიება დაეწყო“

მთავარია, რომ გამოძიება დაიწყო. ადრე თუ გვიან, ეს შედეგს მოიტანს. ჩემი მიზანიც ეს იყო. როგორც უკვე გითხარით, გამოძიებას ყველაზე მეტად წყარო აინტერესებდა.



გვ.2



## „ივანიშვილი ასრულებს თავის დანაპირებს — ქვეყანაში მყარდება დიქტატურა“

გვ.4

ბეჟან ნათელაშვილი:
„ოცნებამ“ გრიპის ეპიდემიით მილიონების შოვნა გადაწყვიტა“



## ლევან სამუშია: „ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა, რომ სასამართლო სისტემა დალუპულიყო“

გვ.3

## ეკა გიგაური: „ბესელიას მხარდაჭერას ვუცხადებ, მურუსიძე-ჩინჩალაძის კლანი უნდა წავიდეს სისტემიდან“

გვ.3



სამართალი

## აჭარის სუს-ის უფროსმა ირაკლი ერისთავმა თანამდებობა დატოვა



გვ.7



## ცემა-ტყეპა გორის ცენტრში

ISSN 1987-9385

6 რომან გოცირიძე: „თიბისი ბანკი ივანიშვილს ყელში გაეჩხირება“

4 ზამთრის არდადეგები 18 იანვრის ჩათვლით გახანგრძლივდა

6 შესაძლებელია თუ არა საქართველოში ადამიანების დაჩივლა დაიწყოს?

4 მირიან მირიანაშვილი: „გამოაშკარავდა, რისთვის სჭირდებოდა რუსეთს ლუგარის ლაბორატორია“

# „ივანიშვილს საქართველოში კანაფის პლანტაციებს არ გავაშენებინებთ“

## ზვიად კუპრავა: „შსს იძულებული გავხადეთ, გამოძიება დაეწყო“

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმე დღის წინ სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად კუპრავამ სკანდალური მასალა გაავრცელა. მან და მისმა მეგობრებმა ყვარლის რაიონის სოფელ შაქრიანში 4 ჰექტარზე გაშენებული კანაფის პლანტაცია აღმოაჩინეს.

მათ თავიდან კადრები დრონით, 20 მეტრის სიმაღლიდან გადაიღეს, მერე პლანტაციაშიც შეძლეს შესვლა და იქ დასაქმებულებსაც გაესაუბრნენ. მათ აღიარეს, რომ პლანტაციაში ჰიბისკუს კანაბინუსი, იგივე კენაფი ჰქონდათ დათესილი.

სავარაუდო კანაფის პლანტაციები კომპანია „ჯორჯია ინ ზი ვორლდს“ აქვს გაშენებული.

კუპრავას გავრცელებულმა ინფორმაციამ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ ინფორმაციის გავრცელება დაემთხვა ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომას, სადაც ბიძინა ივანიშვილმა პრეტენზიები გამოთქვა იმის გამო, რომ პარლამენტიდან გაწვეულ იქნა მისი ნაფერები კანონი. საუბარია კანაფის კულტივაციის შესახებ კანონპროექტზე.

საზოგადოებისგან განსხვავებით, პლანტაციის მიმართ არანაირი ინტერესი არ გამოუჩენიათ სამართალდამცავებს. კუპრავამ და მისმა მეგობრებმა შსს მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებიდან 3 დღის შემდეგ დააინტერესეს.

გუშინ, 9 იანვარს, მოხდა ზვიად კუპრავას გამოკითხვა. შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვას, მოყვანას ან კულტივირებას გულისხმობს. დანაშაული ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

როგორ აიძულეს შსს ამ საქმით დაინტერესებულიყო, რა ინფორმაციის მიღებას ცდილობდნენ სამართალდამცავები, რატომ ეწინააღმდეგებიან ნარკომანები კანონს კანაფის კულტივაციის შესახებ? – ამ თემებზე ზვიად კუპრავა „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ზვიად კუპრავა:**

– მე 5 იანვარს გავავრცელე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ყვარლის რაიონში გაშენებულია კანაფის პლანტაცია. წარმოვადგინე ამის ფოტო და ვიდეომტკიცებულებები. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე მედია საშუალებასაც მივეცი ინტერვიუ, მაგრამ ამით შინაგან საქმეთა სამინისტრო არ დაინტერესდა.

დაინტერესებას ვინ ჩივის, მათ ოფიციალურად თქვეს უარი საქმის აღძვრაზე. კანაფის პლანტაციასთან დაკავშირებით, 8 იანვარს ჩემთან ინტერვიუ ჩაწერა პრესა.გე-მ. საიტი შსს-საც დაუკავშირდა კომენტარისთვის.

შსს-ს პრესსამსახურის წარმომადგენლებმა ჟურნალისტს დაუყოვნებლივ არ უპასუხეს და ინფორმაციის გადამოწმებისთვის დრო სთხოვეს. როგორც პრესა-გე-ს ჟურნალისტმა მითხრა, მათ ცოტა ხანში დაურეკეს სამინისტროდან და პასუხიც უთხრეს.

პრესსამსახურის პასუხი ასეთი იყო, რომ ისინი გაეცნენ ჩემ მიმართვას (საგანგებო მიმართვა სოციალური ქსელით მქონდა გავრცელებული, სადაც დეტალურად მქონდა აღწერილი, რა ვნახეთ პლანტაციაში) და პლანტაციის მწარმოებელი კომპანია „ჯორჯია ინ ზე ვორლდ“-ის განმარტებასაც. ეს კომ-



პანია ადასტურებს, რომ მოშენებული მცენარე ნამდვილად ჰიბისკუს კანაბინუსია, იგივე კენაფი, მაგრამ ამტკიცებს, რომ მას არაფერი საერთო არ აქვს კანაფთან. ამ პასუხიდან გამომდინარე შსს-მ გამოძიების დაწყება საჭიროდ არ ჩათვალა.

მანამდე არაერთხელ მივმართე შსს-ს და პროკურატურას, მაგრამ პლანტაციებით არავინ არ დაინტერესებულა. ჩემთან უბნის ინსპექტორსაც კი არ დაურეკავს.

როცა პრესა-გე-სთან საუბარში შსს-მ ოფიციალურად განაცხადა, რომ ისინი ამ საქმის გამოძიებას არ აპირებდნენ, სოციალური ქსელით ახალი მიმართვა გავავრცელე. მოვუწოდე ყვე-



ლას, დაგვერეკა 112-ში და გვეთქვა, რომ ყვარლის რაიონში კანაფის პლანტაციაა და გადაამოწმეთ ეს ფაქტი.

საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე ვალდებულია, დანაშაულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს სამართალდამცავებს.

როგორც ჩანს, შინაგან საქმეთა სამინისტრო შეაწუხა საზოგადოების ზეწოლამ და მათ გამოძიების დაწყება გადაწყვიტეს.

***– ბევრმა ხალხმა დარეკა 112-ში?***

– ძალიან ბევრმა, იმდენად ბევრმა, რომ გამოძიების დაწყება გადაწყვიტეს.

***– სხვანაირად რომ ვთქვათ, შეალონეთ და ამის გამო დაიწყო გამოძიება.***





– ასე გამოდის. სანამ გამოძიების დაწყების შესახებ ინფორმაცია არ მივიღეთ, ათეულობით ადამიანი რეკავდა 112-ზე. ამ კამპანიის დაწყებიდან რამდენიმე საათში დამირეკეს შსს-დან და გამოკითხვაზე დამიბარეს. გამოკითხვაზე 9 იანვარს 13 საათზე მივედი.

***– როგორ ჩაიარა გამოკითხვამ?***

– გამოძიებას სრული ინფორმაცია მივაწოდე. ვუთხარი, სად იყო პლანტაცია, რა და როგორ ვნახეთ და ა.შ. მკითხეს იმ ვიდეომასალის შესახებაც, რომელიც ჯერ გამოქვეყნებული არ არის.

ეს ვიდეომასალა ერთ ჟურნალისტს აქვს, მაგრამ შემიძლია გამოვართვა და გადავცე გამოძიებას. ამით დიდად არ დაინტერესებულან. სამაგიეროდ, აინტერესებდათ წყარო.

ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი იყო. მართლა მაინტერესებს, რატომ დაინტერესდნენ წყაროთი და არა – ინფორმაციით. დანაშაული ინფორმაციის ფლობა კი არ არის, დანაშაული ისაა, რაც ყვარელში ვნახეთ.

წყარო, ბუნებრივია, არ დავუსახელე, სამაგიეროდ დეტალურად ავუხსენი, სად იყო ეს პლანტაცია.

***– პლანტაცია ყვარლის რაიონის სოფელ შაქრიანშია?***

– შაქრიანი ყვარელს კი ეკუთვნის, მაგრამ თელავთან არის ახლო.

***– იმედი გაქვთ, რომ საქმეს გამოიძიებენ?***

– საქმის გამოძიების იმედი არ მაქვს. არც იმის ილუზია მაქვს, რომ ბიძინა ივანიშვილს ბრალს წაუყენებენ.

***– აბა რა აზრი აქვს ამ გამოძიებას?***

– მთავარია, რომ გამოძიება დაიწყო. ადრე თუ გვიან, ეს შედეგს მოიტანს. ჩემი მიზანიც ეს იყო. როგორც უკვე გითხარით, გამოძიებას ყველაზე მეტად წყარო აინტერესებდა.

გამომძიებლები დამპირდნენ, რომ ისინი აუცილებლად მივლენ ადგილზე და ექსპერტიზისთვის ნიმუშებს ამოიღებენ.

დღეის მდგომარეობით, ეს პლანტაცია არ არსებობს.

კანაფი სეზონურია და ის თუ სათბურში არაა, მთელი წელი, ბუნებრივია, ვერ იყვავილებს. იქ სათბური არ იყო. მცენარე ღია ცის ქვეშ ჰქონდათ გაშენებული.

***– იქნებ კიდევ არის რაღაც შემორჩენილი?***

– ზუსტად ვიცი, რომ ახლა იქ არაფერი არ არის, მაგრამ ჩვენ მოვასწარით გადაღება. ჩვენ ეს პლანტაცია ნოემბრის ბოლოს აღმოვაჩინეთ. ყველაფერი გადავიღეთ და ამ მასალას სად წაუვლენ. ყველაფერი გადაღებულია – ფოთლები, ყვავილები, „გალოვკები“...

აქ რომ კანაფი იყო დათესილი, ამას არც მწარმოებელი კომპანია უარყოფს. უბრალოდ ამბობენ, რომ ეს კენაფია, რომელიც არ აბოლებს. და ამით „აპრავებენ“ თავიანთ წარმოებას.

***– მართლა არ აბოლებს?***

– ამ საქმის ექსპერტი არა ვარ და თავს ვერ დავდებ, რომ კენაფი აბოლებს, თუმცა, როგორც იქაურმა ბიჭებმა მითხრეს, კენაფი საკმაოდ კარგი მოსაწევი ყოფილა. მათ ეს მოსაწევი გასინჯული აქვთ.

ამ მცენარესთან დაკავშირებით ბევრ ბოტანიკოსს და ბიოლოგს ვესაუბრე. მათ მითხრეს, რომ კენაფს შეიძლება კანაფის დაბალი კონცენტრაცია ჰქონდეს, მაგრამ მისი დამტვერვის საფუძველზე კანაფის ნებისმიერი ჯიშის მიღებაა შესაძლებელი.

წინა ინტერვიუში, როცა ამ თემაზე ვსაუბრობდი, ვიხმარე ტერმინი დამყნობა. როგორც ბოტანიკოსებმა მითხრეს, ეს დამტვერვაა და არა – დამყნობა, შეცდომისთვის მკითხველს ბოდიშს ვუხდი, მაგრამ რაკი არ ვარ პროფესიონალი, მაპატიებენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ ექსპერტიზას არ დაუდგენია, რომ ეს მცენარე არ აბოლებს, ამას მხოლოდ მწარმოებელი კომპანია ამბობს.

მნიშვნელობა არა აქვს, რას იტყვიან ისინი, ფაქტია, რომ საქართველოში კანაფის წარმოება დაიწყო. ნუ გვავიწყდება ის, რომ კანაფის კულტივაციის შესახებ კანონი პარლამენტში იყო შეტანილი.

საპატრიარქო რომ არ ჩარეულიყო, კანონი გავიდოდა. ამ მიმართულებით მეუფე იაკობმა იაქტიურა ძალიან და კანონი უკან გაიწვიეს. ძალიან აქტიური იყო საზოგადოება. სოციალურ ქსელშიც დიდი პროტესტი იყო. მაშინ ივანიშვილი იძულებული გახდა, უკან დაეხია.

ეს უკანდახევა მხოლოდ დროებითი აღმოჩნდა. 3 იანვარს ივანიშვილი შეხვდა „ქართულ ოცნებას“. შეხვედრა დახურული იყო, მაგრამ გამოვიდა ინფორმაცია, რომ ოლიგარქმა თანაპარტიელებს კანონის გამოწვევის გამო უსაყვედურა.

ამის გარდა, ვხედავთ, რომ არის 4 ჰექტარზე გაშენებული პლანტაცია, სადაც კანაფი დაითესა და მოსავალიც აიღეს უკვე.

ახლა როგორ დავიჯერო, რომ ამ ყველაფერთან ივანიშვილი კავშირში არ არის. ადამიანი არ მალავს, რომ ამ სფეროს მიმართ დიდი ინტერესი აქვს. ამას არც საზოგადოება არ დაიჯერებს.

კანაფის პლანტაციაზე დაწერილ ჩემს პოსტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მას 3.000-ზე მეტი გაზიარება აქვს. ამ საკითხის მიმართ უდიდესი ინტერესია, ოღონდ ხალხი ნეგატიურად არის განწყობილი.

საზოგადოების დიდი ნაწილი წინააღმდეგია კანაფის კულტივაციის. ამას თავად ნარკომანებიც კი ეწინააღმდეგებიან.

***– ნარკომანები რატომ ეწინააღმდეგებიან?***

– ადამიანს, რაც არ უნდა ნარკომანი იყოს, არ უნდა, რომ მისი შვილიც ამ გზას დაადგეს. არაერთ ნარკომანთან მისაუბრია ამაზე და ყველას ასეთი პოზიცია აქვს.

საქართველოში არც ეკლესიას, არც ხალხს, არც პოლიტიკოსებს და ნარკომანებსაც კი არ უნდა ამ კანონის მიღება. ერთადერთი, ვინც ამ საკითხის გატანით არის დაინტერესებული, ბიძინა ივანიშვილია.

***– ივანიშვილი არაა პატარა ძალა.***

– პატარა ძალა არაა, მაგრამ ხალხთან არაფერი გაუვა. ყველა ამის წინააღმდეგი წავა და ივანიშვილს ისევ მოუწევს უკანდახევა. რუს ოლიგარქს საქართველოში კანაფის პლანტაციებს არ გავაშენებინებთ.

გაიჟღერა ვერსიამ, რომ ეს მცენარე სამედიცინო მიზნებისთვის არის დათესილი. ეს არასერიოზულია. ბიძინა ივანიშვილი არის ნარკობარიგა. ჰექტრებზე როდესაც თესავ ნარკოტიკულ ნივთიერებას, ცხადია, რომ ეს არ გინდა პირადი მოხმარებისთვის და, რა თქმა უნდა, სარეალიზაციოდ არის გამზადებული.

ამიტომაც უნდობლობას ვუცხადებ ვერსიას, რომ მცენარე სამედიცინო მიზნით არის დათესილი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლევან სამუშია: „ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა, რომ სასამართლო სისტემა დალუპულიყო“

ნათია ხურცილავა

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი, იურისტი ლევან სამუშია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სასამართლო სისტემაში შექმნილ ვითარებაზე საუბრობს.

***— ბატონო ლევან, მოსამართლეთა 10-კაციან სიასთან დაკავშირებით მამუკა მდინარაძე აცხადებს, რომ პარლამენტმა გარკვეული დრო აიღო, შეიმუშაოს თუ არა კრიტერიუმები. თქვენ რას იტყვით, როგორია თქვენი პოზიცია?***

— „ქართულ ოცნებას“ წლების განმავლობაში მიზანმიმართულად მიჰყავდა საქმე აქამდე, რომ სასამართლო სისტემა საერთოდ დაღუპულიყო. ამ სიის გასვლა იქნება სასამართლო სისტემის საბოლოო დასამარება. ფორმალურად კრიტერიუმების შემუშავებაზე, სიის დროებით შეჩერებაზე და ა.შ., კი არ უნდა იყოს საუბარი, არამედ პროცესზე მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს. შემდეგ კი საზოგადოების ფართო ჩართულობითა და არასამთავრობო სექტორის ორგანიზებით მიღწეული უნდა იყოს შეთანხმება ხელისუფლებასთან, რომ დაიწყოს საერთოდ ახალ კანონპროექტზე მუშაობა, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს სისტემის გაჯანსაღებას და სისტემაში ახალი კადრების შემოყვანას, რომელთა მიზანი სამართლიანობისთვის სამსახური იქნება.

***— თქვენ მაინც როგორ ფიქრობთ, რატომ მაინცდამაინც ეს 10 ადამიანი?***

— ამ ადამიანების ბიოგრაფიების განხილვას მე არ ვაპირებ. ვის მიერ არის ეს სია წარდგენილი და როგორ არის წარდგენილი?! ეს არის უმნიშვნელოვანესი საკითხი. რა პროცედურებით იქნა ეს სია პარლამენტში გაგზავნილი?! როგორ მოხვდნენ ეს ადამიანები და რატომ მოხვდნენ ამ სიაში?! ეს არის მთავარი კითხვები. საზოგადოებაში მურუსიძის, ჩინჩალაძის მიმართ სრული უნდობლობაა, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ამ სიას ენდობა ივანიშვილი. ახლა საუბარი იმაზე, რომ თითქოს მამუკა მდინარაძემ უნდა შეაჩეროს პროცესი და კრიტერიუმები უნდა მოიფიქროს, ეს ხომ სასაცილოა! ან ბესელიას გაბრაზება ამ სიაზე და შემდეგ უკვე კობახიძის დაპირისპირება, თითქოს მათზე არის მთელი ეს ამბავი დამოკიდებული, სჯერა ამის ვინმეს?! ვინმეს სჯერა, რომ უვადოდ უზენაეს სასამართლოში, ქვეყნის ბოლო ინსტანციაში მოსამართლეებს ან მდინარაძე, ან კობახიძე, ან ბესელია ნიშნავს?! და ისინი იღებენ ასეთ გადაწყვეტილებებს?! მე არ ვიცი, ამის კიდევ სჯერა ვინმეს?!

***— აბა, ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება?***

— ეს ყველაფერი ივანიშვილის ხელდასხმით ხდება, რადგან ის არის გადაწყვეტილების მიმღები. წინააღმდეგ შემთხვევაში არც მურუსიძე იქნებოდა ამ სიაში და არც ჩვენ, ქართველი საზოგადოება არ აღმოვჩნდებოდით დღეს ამ რეალობის წინაშე.

დღეს ქართული მართლმსაჯულების სისტემაში ძალიან ცუდი მდგომარეობაა. საჭირო არის სასწრაფო ნაბიჯების გადადგმა, პირველ რიგში მორატორიუმის გამოცხადება. პროცესი უნდა წარიმართოს საზოგადოების, შესაბამისი წრეების, პროფესიული, აკადემიური წრეების ჩართულობით. თუ ვინმე მეტყვის, რომ იუსტიციის საბჭომ კანონის სრული დაცვით წარმოადგინა ეს სია და რა საჭიროა მორატორიუმი, ფაშისტურ გერმანიასაც ჰქონდა კანონები და კანონის სახელით მოქმედებდა, მაგრამ რამდენად სამართლიანი იყო ის კანონები, ამაშია საქმე.

***— უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტი ვაკანტურია, თუ ამ სიის დამტკიცება მოხდება, შეიძლება რომელიმე მათგანი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეც გახდეს?***

— უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის საკითხი ერთია, მაგრამ დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ სასამართლო სისტემის მთელი მართვის სადავეები დღეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელშია. აქედან უნდა ამოვიდეთ, რომ მათი ნებასურვილით მოხდება ყველაფერი. რაც შეეხება იმას, რომ თურმე დღეს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეების კრიზისია, რომ კოლეგიებში არ არის საკმარისი მოსამართლეები წარმოდგენილი, კი მაგრამ, პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ წარდგენილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები პარლამენტში ვინ ჩააგდო?! ვინ შექმნა ეს კრიზისი? ამაზე რატომ არავინ არ საუბრობს?! ეს ყველაფერი თავის დროზე ხელოვნურად შექმნა „ქართულმა ოცნებამ“. მათ შექმნეს ეს კრიზისი და ახლა გამოსავალს გვთავაზობენ, როგორც სახელმწიფოს მმართველები. გამოსავალი ყოფილა თურმე ამ მოქმედი საბჭოს მიერ სადღაც, სარდაფში შედგენილი სიის წარმოდგენა. სასაცილოა. ამიტომ ძალიან სწორი რეაქცია მოჰყვა ამ ყველაფერს საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის მხრიდან.

***— ბევრი მიიჩნევს, რომ მოქმედი იუსტიციის უმაღლესი საბჭო უნდა დაიშალოს. ეთანხმებით?***



— მორატორიუმი, რომელზეც გესაუბრეთ, ასევე კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებზე და ა.შ., ეს ყველაფერი, რასაკვირველია, გულისხმობს ამ საკითხზე მსჯელობასაც. ზოგადად უნდა დავიწყოთ ფიქრი და მსჯელობა იმაზე, როგორი უნდა იყოს სამართლიანი სასამართლოს მოდელი ქვეყანაში. დღეს არსებული სისტემა და მოდელი არანაირად არ უზრუნველყოფს სამართლიან სასამართლოს იდეას. ამ იუსტიციის საბჭოს ხელში ჩვენს ქვეყანას სამართლიანი მართლმსაჯულება არ უწერია.

# ეკა გიგაური: „ბესელიას მხარდაჭერას ვუცხადებ, მურუსიძე-ჩინჩალაძის კლანი უნდა წავიდეს სისტემიდან“

უზენაესი სასამართლოს კანდიდატების გარშემო არ ცხრება ვნებათაღელვა. საზოგადოების, პოლიტიკური სპექტრისა და სამოქალაქო სექტორის დიდი ნაწილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილ კანდიდატებს მწვავედ აკრიტიკებს. დაძაბული ფონია მმართველ პარტიაშიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაც შესაძლოა საპარლამენტო უმრავლესობის პოლიტიკური განხეთქილებისა და გაყოფის საფუძველიც კი გახდეს.

მოსამართლეობის კანდიდატებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური საუბრობს.

იაგო ნაცვლიშვილი

***— სასამართლო სისტემაში საკმაოდ დაძაბული ვითარებაა უზენაესის კანდიდატების გამო და ვითარება კიდევ უფრო მძიმდება „ოცნების“ შიდა დაპირისპირების ფონზე. თქვენ რას დაუკავშირებთ ამას?***

— ეს კრიზისი ლოგიკური შედეგია იმისა, თუ რა პოლიტიკას ატარებდა წლების განმავლობაში „ქართული ოცნება“. ჩვენ წლების მანძილზე ვსაუბრობდით იმაზე, რომ „ქართული ოცნების“ მიერ გადადგმული ნაბიჯები სასამართლოს რეფორმირებასთან დაკავშირებით იყო არაეფექტური. განსაკუთრებით კი ბოლო პერიოდში. ძირითადად ემსახურებოდა იმას, რომ სასამართლო სისტემაში გაძლიერებულიყო ჩინჩალაძე-მურუსიძის კლანი.

მაშინ, როდესაც ჩვენ ამაზე ვსაუბრობდით, „ოცნების“ უმრავლესობას არ ჰქონია შესაბამისი რეაგირება ამ ყველაფერზე. გვახსოვს, როგორ დაინიშნა უვადოდ სულხან მოლაშვილის მოსამართლე, როგორ დაინიშნა უვადოდ ჩინჩალაძე. ეს მხოლოდ იმის გამო მოხდა, რომ „ოცნების“ მიერ კონკრეტული კანონი იქნა შეცვლილი, რათა ეს ადამიანი დანიშნულიყო სასამართლოში. ისევე, როგორც ბევრი სხვა ოდიოზური მოსამართლის დანიშვნასაც ემსახურებოდა ეს.

***— ანუ, გგონიათ, რომ დღეს რომელი დეპუტატებიც იბრძვიან – ეკა ბესელია, გედევან ფოფხაძე და ა. შ., მათი ქმედებები დაგვიანებულია?***

— რა თქმა უნდა, მმართველი პარტიის მხრიდან ნაბიჯები დროულად რომ გადადგმულიყო, შედეგად მივიღებდით ღირსეული მოსამართლეებით დაკომპლექტებულ სასამართლოს. ეს ნამდვილად ასეა.

ყოველთვის ვამბობდით, რომ მოსამართლეები, რომლებიც დღეს წარმოადგენენ კლანს, აქ დაახლოებით 15 კაცზეა საუბარი, არ უნდა იყვნენ სასამართლო სისტემაში. იმიტომ, რომ ისინი წინა ხელისუფლების დროს წინა ხელისუფლებას ემსახურებოდნენ და ზოგი მათგანი ამასთან სისხლის სამართლებრივ დანაშაულსაც ჩადიოდა.

დღეს უკვე ისინი ამ ხელისუფლებას ემსახურებიან და შემდეგი ხელისუფლება რომ მოვა, იმ ხელისუფლებას მოემსახურებიან. ამიტომ, ჩვენ როდესაც ვსაუბრობდით, რომ ისეთი კანონები არ მიეღოთ, რომ ძალაუფლება ხელში ჩაეგდო ამ კლანს, ზუსტად ამას ვამბობდით, რომ რაღაც მომენტში ისინი ისე გაძლიერდებიან, რომ კონკრეტული ინსტრუქციების მიცემასაც შეძლებდნენ უმრავლესობისთვის.

ისინი გაძლიერებულები არიან არა მხოლოდ კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებებით, არამედ იმით, რომ „ქართული ოცნების“ კონკრეტული წევრები მათ უმაგრებენ ზურგს. სია, რომელიც იყო წარმოდგენილი, იყო შეთანხმებული კობახიძესთან. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაფერი ასევე იქნებოდა შეთანხმებული ზარდიაშვილთან, მდინარაძესთან და ა. შ.

***— ეს თქვენი ვარაუდია თუ კონკრეტულ ინფორმაციას ფლობთ?***

— ზარდიაშვილს რომ მჭიდრო და კონკრეტული ურთიერთობა აქვს ჩინჩალაძესთან და მურუსიძესთან, ეს ყველასთვის ცნობილია. როგორც ხედავთ, უკვე პარლამენტის თავმჯდომარეზეც ვრცელდება ინფორმაცია.

***— კონკრეტულ ინფორმაციასაც ხომ არ ფლობთ ამასთან დაკავშირებით, რომ სია მათთან წინასწარ იყო შეთანხმებული?***

— ამაზე გედევან ფოფხაძემ გააკეთა განცხადება, რომ კომენტარები არ გაეკეთებინა ამ სიასთან დაკავშირებით. ანუ მათ იცოდნენ წინასწარ, ვინ იქნებოდნენ სიაში, აქედან გამომდინარე ვასკვნი ამას, რომ, როგორც ჩანს, მათ უკვე იცოდნენ, ვინ იქნებოდნენ სიაში და, შესაბამისად, სთხოვდნენ თავისი გუნდის წევრებს, რომ მათ კომენტარი არ გაეკეთებინათ.

ამიტომ ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ პროცედურების გაწერაზე და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მე მგონი, დღეს ჩვენ ყველამ ვიცით, ვინ წარმოადგენს ჩინჩალაძის და მურუსიძის კლანს. ამის შესახებ ინფორმაცია გააჩნიათ უმრავლესობის წევრებსაც, ამიტომ მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ ეს ხალხი არ მოხვდეს უზენაეს სასამართლოში.

აქედან გამომდინარე მე პირადად მხარდაჭერას ვუცხადებ ეკა ბესელიას. მან მოახერხა ამ პირობებში საჯაროდ დაეწყო ლაპარაკი. მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, მას შეხვდებოდა წინააღმდეგობა ამ პროცესში.



„ამ კლანს ზურგს „ოცნების“ წევრები უმაგრებენ, სია კობახიძესთან იყო შეთანხმებული“

***— შექმნილ რთულ ვითარებაში გამოსავალი რაში მდგომარეობს?***

— იდეალური გამოსავალი არის ის, რომ ეს ხალხი წავიდეს სისტემიდან. მურუსიძე, ჩინჩალაძე, გვრიტიშვილი და მათი კლანის ყველა წარმომადგენელი, ყველა ეს ოდიოზური ფიგურა უნდა წავიდეს სასამართლო სისტემიდან. ეს ყველაზე მთავარია და ამის უზრუნველყოფა ვერ მოახერხა ხელისუფლებამ 6 წლის განმავლობაში.

მათ ეს ბერკეტები ჰქონდათ. შეეძლოთ, კანონები ისე მიეღოთ, რომ ისინი არ დანიშნულიყვნენ და, რა თქმა უნდა, ხელისუფლების წარმომადგენლებს ზურგი არ უნდა გაემაგრებინათ ამ ხალხისთვის. ის მოსამართლეები, რომლებიც ჯერ ნაციონალურ მოძრაობას ემსახურებოდნენ და დღეს „ქართულ ოცნებას“ ემსახურებიან, უნდა წავიდნენ, რადგან შეუძლებელია, რომ მათ სასამართლო სისტემას რაიმე კარგი მოუტანონ. იდეალური გამოსავალი ეს იქნება.

ეს სია, რომელიც წარმოდგენილია, არის მურუსიძე-ჩინჩალაძის ჯგუფის ნაწილი, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ის ხალხი არ მოხვდეს სასამართლო სისტემაში. უზენაეს სასამართლოში მათ ისეთი გავლენები არ აქვთ, როგორიც პირველ და მეორე ინსტანციაში აქვთ. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ამ ხალხმა არ შეაღწიოს სასამართლო სისტემაში.

***— თინა ხიდაშელმა „აიპრესთან“ თქვა, რომ კოალიციაში ყოფნისას, 2015 წლის დეკემბერში, მათგან მურუსიძის მხარდაჭერას პირადად ბიძინა ივანიშვილი ითხოვდა.***

— ეს ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ მე მახსოვს ბატონ ივანიშვილის შეხვედრა მურუსიძესთან, როდესაც ივანიშვილმა თქვა, რომ მურუსიძე იყო სისტემის მსხვერპლი. მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ ეს ადამიანები სისტემის მსხვერპლნი ნამდვილად არ ყოფილან, ესენი ატარებდნენ იმ პოლიტიკას, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა.

არიან მოსამართლეები, რომლებიც საკუთარი თვალით ხედავდნენ ნაწამებ პატიმრებსა და ადამიანებს, მაგრამ არასდროს კითხვას არ სვამდნენ, რა დაემართათ მათ. მაგალითად, ხომ არ შეექმნათ პრობლემა პოლიციასა და პროკურატურაში.

ესენი არიან ის მოსამართლეები, რომლებიც თვალს ხუჭავდნენ ადამიანის უფლებების დარღვევებზე. არ შეიძლება მათ მორალური უფლება ჰქონდეთ, რომ დღეს ისინი მართლმსაჯულებაზე საუბრობდნენ. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას ჰქონდეს ადეკვატური რეაგირება.

***— თუ ის სცენარი არ განვითარდება, რისი მოლოდინიც შესაძლოა გქონდეთ, ხომ არ მოგიწევთ სხვა ზომების მიღება. მათ შორის აქციებიც? ზაზა ხატიაშვილი ხშირად გსაყვედურობთ ხოლმე არასამთავრობოებს, რომ როცა ქუჩაში გავდიოდი, არავინ მიჭერდა მხარსო.***

— ზაზა ხატიაშვილი ალბათ ჩემზე არ იტყოდა. იმიტომ, რომ მე და ზაზა ერთად ვიდექით. მახსენდება პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება, რომელმაც თქვა, რომ თავის დროზე, როდესაც ეს მოსამართლეები ინიშნებოდნენ, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან ასეთი რეაქცია არ ყოფილაო.

ნამდვილად მქონდა მწვავე რეაქცია. აქციის ფოტოებიც კი მაქვს შენახული, როდესაც მართლა 20 კაცი ვიდექით იუსტიციის საბჭოს წინ, როცა მურუსიძე ინიშნებოდა სასამართლო სისტემაში. მართალია, მცირე ჯგუფი, მაგრამ მაინც ვაკრიტიკებდით. განსაკუთრებით ის ადამიანები, რომლებიც სასამართლო სისტემაში მიმდინარე ამ საშინელებას წლების განმავლობაში ვაკვირდებოდით. ნამდვილად ვიდექით და ვაკრიტიკებდით, მაგრამ საზოგადოების მხრიდან ამ თემას დიდი ყურადღება არ მოჰყოლია და ახლა უკვე ვხედავთ, რომ ამან სავალალო შედეგები მოიტანა.

მნიშვნელოვანია, რომ ყველა ჯგუფი გავერთიანდეთ და მხოლოდ არასამთავრობოები არ ვსაუბრობდეთ ამ თემებზე.

# მირიან მირიანაშვილი: „გამოაშკარავდა, რისთვის სჭირდებოდა რუსეთს ლუგარის ლაბორატორია“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ მირიან მირიანაშვილს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ვერაგ გრიპს გეოპოლიტიკასთან და საქართველოს ისტორიასთან

***– რამდენიმე თვის წინ „ახალ თაობას“ უთხარით, რომ ერთ-ერთ ინტერვიუში დაწვრილებით ისაუბრებდით თბილისში მოქმედ ამერიკელების მიერ შექმნილ ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებულ საკითხზე და რუსეთის მიერ ყალბი ინფორმაციის გავრცელების მიზეზებზე. მაშინ ამ ლაბორატორიას თავისი წილი დარტყმა საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილმა შეფმა იგორ გიორგაძემაც მიაყენა.***

– საქართველოში განვითარებული მოვლენებისა და არჩევნების გამო, ამ თემაზე საუბარი აქამდე არ გამოვიდა. რუსეთი დიდი ხანია აწარმოებს დეზინფორმაციულ კამპანიას ამ ლაბორატორიის წინააღმდეგ. მაშინაც აღვნიშნე, რომ იგორ გიორგაძის ჩართვას ამ კამპანიაში თავისი მიზნები ჰქონდა – ჯერ ერთი, მოსკოვი გიორგაძის დახმარებით გეგმავდა არეულობას. მეორეც, ვირუსების ხელოვნურად გავრცელების თემა რუსეთმა ააგორა თავისი შემდგომი ზრახვებისათვის. უკვე გამოაშკარავდა, რისთვის სჭირდებოდა რუსეთს ლუგარის ლაბორატორიაზე ჭორების გავრცელება.

***– რისთვის?***

– იმისთვის, რომ როცა თვითონ გაავრცელებდა ხელოვნურ ვირუსს, ხალხს ეს ამერიკელებისთვის და ლუგარის ლაბორატორიისთვის დაებრალებინა.

***– ზოგიერთი ადამიანი შეიძლება ახლანდელი გრიპის ვირუსს მართლა უკავშირებს აქაურ ლაბორატორიას, მე ისეთი ხალხი უფრო მხვდება, რომელიც ამაში რუსეთის ხელს ხედავს. ბევრი დარწმუნებულია ამ ვირუსის ხელოვნურად გავრცელებაში.***



– რუსეთისთვის ასეთი ქმედებები ახალი არ არის. მას ისინი საქართველოს მიმართ ადრეც გამოუყენებია.

***– კერძოდ?***

– 1778 წელს საქართველოში ხელოვნურად შემოიტანეს შავი ჭირი, რომელმაც მასობრივად გაწყვიტა ხალხი, განსაკუთრებით კახეთში, ქართლსა და იმერეთში.

***– გამავრცელებლებს არ ეშინოდათ, რომ ეს დაავადება მათაც დააზარალებდათ?***

– მაშინ რუსეთში აცრები უკვე დანერგილი იყო. ვისაც საქართველოსთან შეხება ჰქონდა, იმას ცრიდნენ. თანაც, მოქმედებდა კარანტინი. ცარიზმმა ზუსტად იგივე მეთოდი გამოიყენა 1770 წელს ბესარაბიის იმ ნაწილში, სადაც ახლანდელი მოლდოვა მდებარეობს.

***– ეს ქვეყნებისა და ტერიტორიების დაპყრობის მეთოდი იყო?***

– რასაკვირველია. ციმბირიც ასე დაიპყრეს. საქართველოს შემთხვევაში ისიც ჰქონდათ სალაპარაკოდ, რომ რუსეთმა ამოწყვეტამდე მისული საქართველო გადაარჩინა.

***– ეს ახლაც აქვთ სალაპარაკოდ. ამ ფაქტზე არავინ საუბრობს.***

– ეს პაპაჩემისგან ვიცი. ის უშიშროებაში მუშაობდა. ჩეკისტებისთვის ეს ამბავი ცნობილი იყო. ბერიას მისი გახმაურებაც კი უნდოდა.

***– ალბათ, ხალხის დასარწმუნებლად, რომ ბოლშევიკები ცარიზმთან შედარებით ანგელოზები არიან?***

– აქ მთავარი გერმანიის ფაქტორი იყო. ბერიას ეშინოდა, რომ საბჭოთა კავშირთან საომარ მდგომარეობაში მყოფი გერმანია ამას გაახმიანებდა.

***– არქივების ხელში ჩაგდებით?***

– მას ეგონა, რომ გერმანელებისთვის ეს გასაიდუმლოებული ისტორია ცნობილი იყო. საბჭოთა სპეცსამსახურებისთვის უკეთესი იყო, რომ ეს საიდუმლო მათ გაემჟღავნებინათ და არა გერმანელებს.

***– გერმანელებს ეს არ გაუკეთებიათ. ფართო საზოგადოებამაც არ იცის ეს შემზარავი ფაქტი..***

– როცა დეპუტატი ვიყავი, მოვითხოვდი საკანონმდებლო ორგანოში სპეციალური კომისიის შექმნას ამ საკითხის შესასწავლად. მაშინ ზვიად გამსახურდიამ დამიბარა და მითხრა, რომ ამის დროს არ იყო. მოგვიანებით ამ საკითხზე, ასევე, ლუსტრაციის კანონის მიღების აუცილებლობაზე სააკაშვილთან მქონდა საუბარი. მას უარი არ უთქვამს, მაგრამ ამის შემდეგ მომიძულა.

***– და პარტიაც წაგართვათ?***

– ბუნებრივია. მინდა მივმართო „ქართულ ოცნებას“, რომ რუსების მიერ ქართველების ამოხოცვის დამალული ისტორიული ფაქტი და ლუსტრაციის კანონის მიღება მალე გახდება ქართული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი თემა.

***– ამის გაკეთება აუცილებელია, მაგრამ ეწინააღმდეგება „ქართული ოცნების“ საგარეო კურსს. თანაც, „ოცნებას“ არ სცალია. ის დაკავებულია ხალხისათვის ცხრაპირი ტყავის გაძრობით დაგროვებითი პენსიის მომიზეზებით..***

– ამაზე ჩემს გამოსვლებშიც მისაუბრია. ეს თემებია მიზეზი, რის გამოც პირადად ბიძინა ივანიშვილის მითითებით ამეკრძალა ტელევიზიებში გამოჩენა.

***– თუ მეთვრამეტე საუკუნეში რუსეთის მიერ ჩადენილი დანაშაული გამომზეურდა, ამას, წესით, მსოფლიოში რეაქცია უნდა მოჰყვეს. უკრაინაში ბოლშევიკური რუსეთის მიერ მოწყობილი „გოლოდომორი“ დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა აღიარეს...***

– ეს თავდაყირა დააყენებს ისტორიას. მართალია, რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ ძალადობისა და ღალატის სხვა ფაქტები არავისთვის დამალული არ არის, მაგრამ ის, რომ დაპყრობის წინ რუსეთმა საქართველოს მოსახლეობა გაჟლიტა, ეს სხვა მოვლენაა. „გოლოდომორმა“ უკრაინელების მეათედი გაწყვიტა, შავი ჭირის გავრცელებით კი დაიხოცა საქართველოს მოსახლეობის ნახევარი.

***– ახლანდელი ხელოვნური გრიპის ვირუსის მიზანი ლუგარის ლაბორატორიის დისკრედიტაციაა? მასობრივად ხალხის დახოცვა ამ გამოუვათ.***

– ლუგარის ლაბორატორიის საწინააღმდეგო კამპანიის გარდა, რუსეთს აქედან ხეირიც ექნება. საქართველოში სააფთიაქო ბიზნესისა და ჰოსპიტლების 90% რუსეთის ხელშია. ოფიციალური ფიქტიური მეპატრონეების ქართული გვარები არაფერს ნიშნავს.

# „ივანიშვილი ასრულებს თავის დანაპირებს — ქვეყანაში მყარდება დიქტატურა“

## ბეჟან ნათელაშვილი: „ოცნებამ“ გრიპის ეპიდემიით მილიონების შოვნა გადაწყვიტა“

შორენა მარსაგიშვილი

რა ხდება რეალურად ხელისუფლებაში, რატომ და რამდენი ხნით მინელდა საპროტესტო ტალღა, რას ვერ იყოფენ ივანიშვილი და ხაზარაძე, რა დანაპირებს ასრულებს ოლიგარქი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის წევრი, ბეჟან ნათელაშვილი ესაუბრება.

**ბეჟან ნათელაშვილი:**

– რუსმა ოლიგარქმა როცა ხალხს სთხოვა, კიდევ ერთი წელი მაცალეთო, ძალიან საინტერესო ფრაზები თქვა. სამწუხაროდ, ამას არავინ მიაქცია ყურადღება. ამ ადამიანმა ფაქტიურად ის გვითხრა, რომ ქვეყანაში ამყარებდა დიქტატურას. მას არსად არ უთქვამს, რომ დაპირებულ 100 საწარმოს ააშენებდა. მან თქვა, დავალაგებო და ალაგებს კიდევაც დიქტატურას. მედია საშუალებების და ოპონენტების დევნასაც მალე დაიწყებს. ის განსხვავებულ აზრს ვერ იტანს.

ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა ვერ ვიტყვით, რომ ოლიგარქმა თავისი დანაპირები არ შეასრულა. მას ქვეყანა ავტორიტარიზმისკენ მიჰყავს. ამას ხელს უწყობს ხალხის პასიურობა და გარკვეულწილად შემგუებლური პოზიცია. ასეთი დამოკიდებულებით ჩვენ ვერ შევქმნით ევროპულ სახელმწიფოს, რომლისკენაც ასე ვისწრაფვით.

***– ამბობთ, ივანიშვილი ოპონენტების და მედია საშუალებების დევნას დაიწყებსო. ამისთვის სცხელა ბრძენ კაცს? პარტია თავზე ეშლება.***

– გუნდში საკმაოდ ცუდი ვითარება აქვს. იმას, რაც მაგან შექმნა, ძნელია, გუნდი დაარქვა, ეგ უფრო კლანია. ამ კლანში კარგად არ არის საქმეები. რაც მანდ ახლა ხდება, ლოგიკურია. ადრე თუ გვიან ამ კლანის წევრები ერთმანეთს დაერეოდნენ. ეს დღეც დადგა.

ამ დაპირისპირებული მხარეებიდან სიმპათიებს არც ერთი არ იმსახურებს. სიმართლისთვის არავინ იბრძვის. ეს არის ჩვეულებრივი ნადავლის გაყოფის პროცესი. ვიღაცის ლობირება ვერ მოახერხეს და ამიტომ ატეხეს ეს ამბავი. მართლა ხომ არ გგონიათ, რომ ის აღელვებთ, მურუსიძე იქნება უვადო მოსამართლე თუ სამჭკუაშვილი? ეს მურუსიძე უკვე მეშვიდე წელია თემიდის მამად უზით და ახლა შეამჩნიეს მისი არსებობა?

მურუსიძე საშინელებაა, მაგრამ ქვეყნის მთავარი უბედურება სულ სხვა ვინმეა. საქართველოს მთავარი ჭირი არის ოლიგარქი ივანიშვილი, რომელმაც, მოვიდა თუ არა ხელისუფლებაში, ხელი გადახვია სააკაშვილის მოსამართლეებს. მურუსიძეზე გამოგვიცხადა, ეს კაცი ჯალათი კი არა, მსხვერპლიაო.

ყველაფრის თავი და თავი არის მაფიოზი ივანიშვილი. ვიღაცას ვიღაცის კულულები არ მოსწონს და ვიღაცას ვიღაცას ლოყები. ეს ყველაფერი არის ზღაპარი 1001 ღამიდან.

ვისაც ამათი დაპირისპირების სჯერა, ეს მათი პრობლემაა. ამის დაჯერება იგივეა, საჭმელი დაუღეჭავად გადაყლაპო.

***– აღნიშნეთ, რომ ივანიშვილმა დიქტატურის დასამყარებლად ითხოვა ერთი წელი. დაამყარებს ამ ერთ წელში დიქტატურას?***

– ამ მიმართულებით ღონისძიებების გატარება უკვე დაიწყო, მაგრამ ეს საქართველოა და აქ სრული ავტორიტარიზმის დამყარება არ გამოვა.

***– ვინ შეუშლის ამაში ხელს ივანიშვილს?***

– ხალხი.

***– ხალხი როგორ შეუშლის ხელს? ის საპროტესტო მუხტიც ჩაცხრა, რაც იყო.***

– საპროტესტო მუხტის ჩაცხრობა დროებითი და ჩვეულებრივი ამბავია.



***– ჩვეულებრივი ამბავი რატომ არის?***

– ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე შემიძლია გითხრათ, რომ ზამთარში დიდი საპროტესტო მუხტი არ არსებობს. პროტესტი ზაფხულშიც კლებულობს.

როგორც წესი, საპროტესტო მუხტი გაზაფხულზე და შემოდგომაზეა მაღალი. ასე რომ, არქიფო სეთურის მოდერნიზებულ ვარიანტს, ბიძინა ივანიშვილს, იმის იმედი ნუ ექნება, რომ ეს მუხტი ჩაცხრა. ელემენტარულად ფიზიკის კანონია, რომ ბუნებაში უკვალოდ არაფერი არ იკარგება.

დღევანდელ საქართველოში, სადაც ყველაფერი უარესობისკენ მიდის, უბრალოდ შეუძლებელია, საპროტესტო მუხტი ჩაცხრეს. თანაც ივანიშვილი თავისი ქმედებებით ცეცხლზე ნავთს ასხამს, რაც ცეცხლს დიდ პოლიტიკურ ხანძრად გადააქცევს.

***– ხანძრები ამ ხელისუფლებისთვის უცხო არ არის.***

– ძალიან უყვართ ხანძრები, მაგრამ ამჯერად პოლიტიკურ ხანძარზე მოგახსენებთ. ამ ხანძარში თანამედროვე არქიფო და მისი კლანი პოლიტიკურად ჩაიფერფლებიან.

ისინი ღირსები არიან, რომ ამ ხანძარში დაიფერფლონ. ივანიშვილის ოლიგარქიულმა ხელისუფლებამ ვირუსული ტრაგედიაც კი მილიონების საშოვნელად გამოიყენა.

მოგეხსენებათ, რომ ამ გრიპის ვირუსის წინააღმდეგ ყველაზე ეფექტურია წამალი ტამიფლუ, რომელიც მთელ მსოფლიოში 5 დოლარზე ზევით არ ღირს. საქართველოში კი მისი ფასი კატასტროფულად ავარდა. 80 ლარზე ქვევით ვერსად იშოვით.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა საგანგებო ბრიფინგი გამართა. სრულიად ვეთანხმები მის მოსაზრებას და გავიმეორებ, რომ ხელისუფლებამ გრიპის ეპიდემია ფულის საშოვნელად გამოიყენა.

შექმნა აფთიაქებში წამლის ხელოვნური დეფიციტი, მედიკამენტების გაყიდვა კი დაიწყო ხუთმაგად და ათმაგად გადიდებულ ფასებში. მდგომარეობა სერიოზულია. მოვითხოვ, კონსტიტუციის თანახმად, მთელს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას, მედიკამენტების გაცემას და მკურნალობას სრულიად უფასოდ, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფას, სასწავლო პროცესის გადავადებას ეპიდემიის ჩავლამდე.

# ზამთრის არდადეგები 18 იანვრის ჩათვლით გახანგრძლივდა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო განცხადებას ავრცელებს. განცხადებას „მედიანიუსი“ უცვლელად გთავაზობთ.

– საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის უმთავრესი პრიორიტეტი სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგების ჯანმრთელობა და უსაფრთხოებაა. სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ გრიპის ვირუსით ავადობის მაჩვენებელი არ მიანიშნებს ეპიდემიაზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გრიპის ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 2018-2019 სასწავლო წლის ზამთრის არდადეგები გახანგრძლივდეს 18 იანვრის ჩათვლით. ამ პერიოდის განმავლობაში კვლავ დავაკვირდებით არსებულ მდგომარეობას და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციის საფუძველზე შევატყობინებთ საზოგადოებას მომავალ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

გრიპის ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, სასწავლო დაწესებულებებს ეძლევათ რეკომენდაცია არდადეგების პერიოდი დამატებით გამოიყენონ სკოლის შენობებში სადეზინფექციო სამუშაოების ჩასატარებლად, სასწავლო პროცესის აღდგენის შემდგომ სისტემატურად დალაგდეს სველი წესით საკლასო ოთახები და დერეფნები, შესაბამისი ხსნარებით გაიწმინდოს მერხები და სკამები, სასკოლო ინვენტარი. ასევე, უზრუნველყონ სკოლის ექიმების სრულფასოვანი ჩართულობა პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისას და დაიცვან ყველა ის რეკომენდაცია, რაც დაავადების თავიდან ასაცილებლად ღონისძიებებს უკავშირდება და რომელსაც ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციისა და საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი გასცემს, – ნათქვამია განცხადებაში.

მილოცვა

# ვიღვაწოთ ქართველი ერისა და სამშობლოსთვის

**მის აღმატებულებას ქართველ ერს,
ქართველი ერის სულიერ მამას, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს,
საქართველოს ხელისუფალთ, პატივცემულებს:
სალომე ზურაბიშვილს, მამუკა ბახტაძეს, ირაკლი კობახიძეს
მმართველი პოლიტიკური პარტიის ლიდერს,
პატივცემულ ბიძინა ივანიშვილს**



საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარის – ბერიძეთა საგვარეულო დარბაზის სახელით გულწრფელად მსურს მოგილოცოთ უფლის შობის ბრწყინვალე დღესასწაული და ახალი, 2019 წლის შემობრძანება!

**მოგაგებთ პატივს და გვსურს გისურვოთ მშვიდობა, ჯანმრთელობა, ოჯახური ბედნიერება და გამრავლება, სულიერი სიდიადე, ქვეყნის აღმშენებლობა, სამშობლოს გაერთიანება და გადარჩენა.**

გისურვებთ, ორად გახლეჩილი ქართველი ერის გაერთიანებას, ნდობის, სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის აღდგენას; ერის დარწმუნებას იმაში, რომ ურთიერთშორის შუღლი, შეურაცხყოფა და გაუტანლობა მხოლოდ მტრების წისქვილზე ასხამს წყალს! ქართველი ერი, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი აქტიური შემოქმედი, ღირსია იმისა, რომ ცხოვრობდეს დამოუკიდებელ, თავისუფალ და გაერთიანებულ ქვეყანაში. ირწმუნეთ, რომ ქართველი ერი სულიერადაც გაერთიანდება, დაკარგულ ტერიტორიებსაც აღიდგენს და გალაღდება კიდევაც. მაგრამ რა დროში, როგორ? დროის შემცირება ერის გაერთიანებულ ფიქრს, განსჯასა და მიზანმიმართულ გარჯაზეა დამოკიდებული.

**და, თუ გვინდა ქვეყნისა და ერის სიკეთე, მოდით, 2019 წელი ყველამ ერთად გამოვაცხადოთ აღმშენებლობის წლად!**

შეიმუშავეთ ქვეყნის აღმშენებლობის განხორციელებადი პროგრამა და იქიდან გვიწილადეთ ერთ-ერთი რთული სამუშაო (განებავთ პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი) და ჩემი გვარი მას სიცოცხლისუნარიანად აქცევს – ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე!

**უკუაგდეთ ცალკეულთათვის ხელფასების ზრდა, უსაფუძვლო სარგოებით სარგებლობა, ყოველგვარ ზომას გადაჭარბებული პრემიების მიღება. მიზანმიმართულად სრულად გამოიყენეთ „ნაწყალობები“ გრანტები და სესხები!**

იფიქრეთ თითოეულ ადამიანზე, მის გარჯაზე, შრომაზე, ურთიერთდახმარებასა და გატანაზე, სიკეთეზე. ფიქრი ადამიანის საუკეთესო თვისებაა. ფიქრებში იბადება აზრები. აზრთა განსჯა კი გონების უჯრედში ხდება. აქ გაფილტრული გონებრივი აზრი კი – სიცოცხლისუნარიანია. სულში მიღებული და ხორციელად წარმოთქმული აზრი უფლის წყალობაა და იგი საქმით გვირგვინდება. ესაა ის უმაღლესი კულტურა, რასაც ადამიანის გაჩენის ამქვეყნიური დანიშნულება – სიცოცხლე ჰქვია! უნდა გვახსოვდეს, რომ **„სიცოცხლე ჩვენი არც დედისაა და არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა“.** ადამიანი, ხელისუფალი იქნება თუ რიგითი, უფლის სადიდებელ საყდარში რომ შევა, მან პირველ რიგში უფლისა და ქვეყნისათვის (ოჯახი ქვეყანაში შედის) უნდა ილოცოს. და თუ მას უნდა, ღმერთი ადიდოს და ქვეყანა ასახელოს, უნდა ახსოვდეს, რომ **„...იმან ორი სახელი უნდა იქონიოს: ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაღები“** მარადისობაში! ასე მოძღვრავდა დიდ ილიას ბავშვობაში მთავარი დიაკონი და რაოდენ სასიხარულოა, რომ **ილიამ თავისი ყოფიერებით ორი სახელოვანი გვირგვინი დაიდგა: ერთი, ამქვეყნიური, უგვირგვინო მეფე-მოძღვრისა, მეორე კი – წმიდა ილია მართლისა აქ, და მარადისობაში!** დიდმა ილიამ უფალს, თავის ქვეყანას, ერს და ჩვენ, – მის მომავალ თაობებს მოგვაგო პატივი და გზა გაგვინათა, გზა სიმართლისა და ჭეშმარიტებისა.

– და, მივდივართ კი ამ გზით?

დიდი რომაელი მოაზროვნე ციცერონი ბრძანებდა: **თუ ქვეყანა სამართლის დედაბოძს არ ეფუძნება, მას განვითარების პერსპექტივა არა აქვს!**-ო.

ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, ველისციხეში ორ შუბლთმოჯახუნეთა შორის ვინაა მართალი, რომელია „თხა და გიგოს“ გმირი; მთავარი ისაა, რომ ამ დონეზე ვართ დაცემულნი. არადა, თუკი პლანეტაზე ადამიანის გმირობაზე, დიდსულოვნებასა და გამძლეობაზე, თაყვანისცემაზე, სიყვარულზე, სიკეთეზე, სტუმარმასპინძლობაზე რაიმე თქმულა, ის ქართველ კაცში სვეტიცხოვლადაა ამაღლებული.

თუ იტალიური რენესანსის ტიტანები ღმერთის, საერთოდ ზეციური სამყაროს, ყველა პერსონის გაადამიანებას ახდენენ და რენესანსმა ზეცა გაამიწიერა, ღმერთი გააადამიანა, **ქართველმა შოთა რუსთაველმა უშუალოდ ცხოვრება, წუთისოფლის სიკეთე და ამაოება გარდასახა, ადამიანი გააღმერთა! მსოფლიო რენესანსის პირველი მედროშის ეს გენია ნათელს ხდის, თუ რამდენად თვითმყოფი, თავისუფალი და ინტელექტუალურია ქართული გენი!**

ამის ფონზე ქართული გენის მატარებელ ცალკეულ ადამიანს ნამდვილად არ ეკადრება უკადრებელი, იგი ერის ლაქაა! დაარწმუნეთ თითოეული ქართველი, რომ **„საქართველო იქნება მთელი და ძლიერი, ოღონდ იყოს ერთად და მთლიანად“** (გიორგი I, ბაგრატ IV).

მიმაჩნია, რომ მიუხედავად დღევანდელი სულიერი დაქვეითებისა, ქართველი ერის მსოფლიოს ხალხთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოა, ამაღლებული, გონიერი, ინტელექტუალური, გმირობით განთქმული, მშრომელი, მოსიყვარულე, რწმენიანი, სიკეთით აღსავსე და უმშვენიერესი!

**იქნებ ვინმემ მითხრას, რამდენად მართალნი ვიქნებით ჩვენ – საქართველოს ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარი – ბერიძეები, რუსეთში მრავალრიცხოვან პეტროვებს რომ დავუმეგობრდეთ და თანაზიარი მეგობრობის ხიდი აღვადგინოთ?**

როდემდე ვეძახოთ რუსებს „ოკუპანტები“? სანამ ცხინვალის საზღვარს სომხეთის საზღვრამდე არ მოიტანენ?! ამოვიღოთ ხმარებიდან სიტყვა „ოკუპანტი“, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ზიანს აყენებს ერს. ერთად დავდგეთ და ერთად გადავწყვიტოთ ყველა პრობლემა. ქვეყანა მყარად დავაფუძნოთ სამ დედაბოძზე: სულიერების, სამართლიანობისა და ეკონომიკისაზე!

ხელისუფლებავ და ერო ძლიერო, უხმე გონიერებას ქართველი ხალხის სიბრძნის საუნჯიდან!

## სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს

გვარი გულმხურვალედ გილოცავთ შობასა და ახალი წლის შემობრძანებას. გვსურს, იყოთ ჯანმრთელი და იცოცხლოთ დიდხანს, ქართველი ერის იმედად და სულიერ ბურჯად. სრულად ვიზიარებთ თქვენ მიერ საშობაო ეპისტოლეში დასმულ პრობლემებს და მხარს გიჭერთ! ილოცეთ საქართველოზე, მის მფარველ ღვთისმშობელზე, უფლის წყალობისათვის. თქვენი ლოცვის შედეგია, რომ ბერიძეები ვგრძნობთ ჩვენს ამქვეყნიურ მისიას: ადამიანთა შორის სათნოებას, ყოფიერების კულტურას, კაცთა შორის მეგობრობასა და თაყვანისცემას; პატივს მივაგებთ ადამიანთა სულიერებას, მის სიდიადეს. თქვენგან ვსწავლობთ და ვიძენთ მოთმენის, სიდინჯისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარს.

ულრმესი მადლობა თქვენ და სინოდის ყველა წევრს 2018 წლის 23 ივნისს ჩვენი გვარის ყოფილი წარმომადგენლისა და უფლის ჭეშმარიტი მორწმუნის, დიაკვან სევერიანეს (ბერიძის) წმინდანად და აჭარელ აღმსარებლად შერაცხვისათვის. ბერიძეები შემოგცქერით და თქვენის მეოხებით ვხედავთ უფალს.

## ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს

თქვენო აღმატებულებავ, საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარი – ბერიძეები (31.500 კაცი) გულით გილოცავთ ქართველი ერის პრეზიდენტად არჩევას! გისურვებთ ჯანმრთელობას, უდიდეს რწმენას საკუთარი თავისადმი და სიყვარულს ღვიძლი სამშობლოსადმი; თავდადებას და ნაყოფიერ შემოქმედებას ქართველი ერისადმი.

გისურვებთ სიფრთხილეს, სიდინჯეს და ერის მიმართ ღირსეული გადაწყვეტილებების მიღებას. დღეს ქართველი ერი ორი აზრით ორადაა გახლეჩილი. ეს არაა თავისუფალი აზრი, დემოკრატია. როდესაც რაიმე აზრი ქვეყნის ბედს ეხება, იგი ხალხში ერთსულოვნად მისაღები უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა უკუსვლით წავა. შეიყვარე და გადაარჩინე თქვენი მოწინააღმდეგენიც, მათ თქვენ გულის სიღრმეში უყვარხართ. თავის დროზე აშშ-ის პრეზიდენტს, აბრაამ ლინკოლნს, გაცილებით მრავლად ჰყავდა მოწინააღმდეგეები, მაგრამ მან თითოეული დაარწმუნა თავიანთ ცდუნებაში. თქვენც შეგიძლიათ, თითოეული განდგომილი შემოაბრუნოთ, თუ თქვენ იქნებით ეროვნული ტრადიციებისა და სულიერი ფასეულობების, ქვეყნისა და ერის ერთგული და მათთან ერთად იშრომებთ. მიგვაჩნია, რომ თქვენი უპირველესი მიზანი ქართველი ერის სულიერი გაერთიანებაა – სიტყვით და საქმით!

თქვენ ეროვნული წიაღიდან მობრძანდით და კვლავ მშობლიურ ფესვებს დაუბრუნდით. ერმა დიდი პატივი მოგაგოთ: აგირჩიათ ხელისუფლად. ამიტომ თქვენი ვალი ერისადმი ერთგული მსახურებაა! შექმენით მრჩეველთა (უხუცესთა) საბჭო და 20 აზრიდან აირჩიეთ და განახორციელეთ ერისთვის ყველაზე მისაღები. ბერიძეთა მრავალრიცხოვანი გვარი თქვენს გვერდით გვიგულეთ უპირველეს ყოვლისა შრომაში!

თქვენო აღმატებულებავ, საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტს ძალზე ცუდი ტრადიცია დაჰყვა: პირველი პრეზიდენტი განდევნეს და მოკლეს; მეორე – პარლამენტიდან გააძევეს წლინახევრით ადრე; მესამეზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული; მეოთხე – უსახელოდ წავიდა! მეხუთე – თქვენ ბრძანდებით!..

თქვენი ბედი და სახელი თქვენს ხელთაა! იგი თქვენს მოქნილობაზე, გარჯაზე, ინტელექტზე, სხვათა შეცდომების გათვალისწინებაზე, საქმიან სიტყვაზეა დამოკიდებული.

ქვეყანაში უამრავი პრობლემაა და არ შეშინდეთ! დღეს საქართველოს ნამდვილი გმირი შემოქმედი სჭირდება. მხოლოდ შეგახსენებთ, რომ როცა გულნატკენმა ნიკო ნიკოლაძემ საზოგადოებრივ სარბიელს თავი დაანება და პუბლიცისტობა მიატოვა, დიდმა ილიამ მას წერილი მისწერა:

**„ძმაო ნიკო! წავიკითხე შენი გამოსალმება, – წავიკითხე, მაგრამ წაკითხული აქამდისაც არ მჯერა... ნუთუ მართლა შეუშინდი ჭიაჭუებს და იმათ ბზუილზე გაფრთხი?.. განა წინადვე არ იცოდი, რომ მაგ გზაზედ, რომელსაც შენ დაადეგ, ათასი ვაივაგლახი, ბეზღი, ცილი, ლანძღვა და თრევა დაგხვდებოდა ჯილდოდ შენი შრომისა და მოღვაწეობისა? ეგ ამბავი არ ახალია, ძველია. ვითომ რად გიკვირს, რომ მოსალოდნელი მოვიდა და რად არ გიხარიან, რომ იმდენი ძალა გქონია, რომ მკვდრებიც კი ააყაყანე... ექცევი რასა და ვისა? შენს ქვეყანას, შენს შრომას, შენს მეგობრებს და თანამოაზრეთა. რას შვრები, რასა?.. თუ მართლა გიყვარს ის, რისთვისაც ეგრე თამამად და უშიშრად იღვწოდი, დარჩი მაგ უბედურს ქვეყანაში. დარჩი და იშრომე – და მხოლოდ ის გქონდეს ხსოვნაში, რომ მარტო უბედურთ უნდათ შველა და არავის სხვასა; კვლავ მოჰკიდე ხელი შენს პატიოსანს საქმეს...“** და, დიდი ნიკოც დაუბრუნდა საზოგადოებრივ საქმეს! გასაქცევად და დასაბრუნებლად ნურც თქვენ გაიხდით საქმეს!

იდღეგრძელე და იღვაწე ერის სასიკეთოდ! უფალმა დაგლოცოთ!

## ბატონებს: მამუკა ბახტაძესა და ირაკლი კობახიძეს

ბედნიერი და ნაყოფიერი იყოს თქვენთვის ეს ახალი – 2019 წელი; უფლის შობის მადლი და ძალა შეგეწიოთ! უფალმა გიწყალობოთ, რათა შეძლოთ დაძლიოთ ის დიდი პრობლემები, რომლებიც ერის წინაშე დგას:

**– ადამიანთა ჯგუფების დაპირისპირება, ურთიერთშუღლი და სულიერი სიღარიბე; სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის უქონლობა; არასამთავრობოების თავგასულობა; მძიმე კრიმინოგენური მდგომარეობა; კატასტროფული მიგრაცია-ემიგრაცია; სამართლიანობისადმი უპატივცემულობა და ქვეყანაში არასაკმარისი ხარისხით არსებობა; კატასტროფული დემოგრაფიული მდგომარეობა; უსაზღვრო ნარკომანია;**

**– ქვეყნის უმთავრესი დარგის – სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა;**

**– ჯანდაცვის სისტემაში მკურნალობის დაბალი ხარისხი (გასაუმჯობესებელია მკურნალობის ხარისხი, რომელიც მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებს! ავადმყოფთა ნაწილი თურქეთში გარბის, ნაწილი კი ევროპაში – სიცოცხლის შესანარჩუნებლად; საერთოდ არ არსებობს პროფილაქტიკური მკურნალობა);**

– გადასახედია საქართველოს ეკონომიკისა და ეგრეთ წოდებული „მდგრადი განვითარების“ სამინისტროს ფუნქციონირების საკითხი! სავალალოა, რომ მისმა ერთმა მინისტრმა საქართველოს ეკონომიკა სვანეთში, დათოვლილ შარაგზაზე მოვაჭრე „გაყინული“ ქალბატონის „ბლუჯა ფულით“(?!) შეაფასა, ხოლო მეორემ – ევროპაში, აშშ-ში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში ჯართში ჩაბარებული და საქართველოში ჩამოტანილი ყოვლად უვარგისი ავტომობილების სიმრავლით. საერთოდ რას აკეთებს ეს სამინისტრო და რატომ ჰქვია „მდგრადი განვითარების“? ჩემი აზრით, გასაუქმებელია! იგი ხორცმეტი ორგანოა! იქნებ ფინანსთა სამინისტროსთან გააერთიანოთ!

**– მოსაგვარებელია საქართველოს ეროვნული ბანკის საკითხიც. იგი კომერციულ ბანკთა ქვემდებარე ორგანოა.** ვერ უზრუნველყოფს ეროვნული ვალუტის სიმყარეს. ვერ უზრუნველყოფს კომერციულ ბანკებთან კოლეგიალურ თანამშრომლობას, რეალური და გადახდისუნარიანი პროცენტული სარგებლის განსაზღვრას კრედიტებისათვის!

**– სასწრაფოდ შესაქმნელია დემოგრაფიისა და განსახლების სამინისტრო. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო უქართველოდ დარჩება!!!**

**და, კიდევ რამდენი პრობლემაა სასწრაფოდ მოსაგვარებელი!!!**

ნუ დაკარგავთ დროს! განვლილი უმოქმედობის შემდეგ ბატონმა ბიძინამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ერს კიდევ ერთი წელი სთხოვა. **365 დღიდან 10 დღე უკვე გავიდა!**

ბატონებო, ერთი კანონმდებელი ბრძანდებით, მეორე კი – აღმასრულებელი ხელისუფალი! რა გიშლით ხელს? ეკას, მაკას და თიკას პრობლემას ნუ ანაცვალებთ ეროვნულ პრობლემათა საკითხებს.

გაითვალისწინეთ ისიც, რომ ძალზე მაღალი ტემპით მიმდინარეობს ქვეყანაში უცხოელთა შემოდინება, ქართველებისა კი – გადინება! ამ ფონზე მალე დაიწყება უცხოელთა შორის გავლენის სფეროების დაუფლების ტენდენცია, რასაც მოჰყვება მათ შორის დაპირისპირებები, სისხლიანი შეტაკებები და ტერაქტები! ამით კი ჩვენი ქვეყანა მნიშვნელოვნად დაზარალდება. იჩქარეთ! უფალმა დაგლოცოთ!

## ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ყოველივე სასიხარულოსა და სასიკეთოს გისურვებთ თქვენს ოჯახში, გვარში და ერში! იდღეგრძელეთ მრავალჟამიერ!

პირველ რიგში ულრმესი მადლობა, რომ იზრუნეთ ერზე და ყველა გაჭირვებულ და გადახდისუუნარო ადამიანსა და ოჯახს ბანკის ვალები გადაუხადეთ. უფალმა შეგიწიროთ ეს ქველმოქმედება ერისადმი.

ბატონო ბიძინა, გვესმის, რომ ნამდვილად ჭეშმარიტი მორწმუნე ბრძანდებით, თუნდაც იმიტომ, რომ ამდენ დაუმსახურებელ ტალახის სროლას იტანთ! ეს ნამდვილ მორწმუნეთა ხვედრია!!!

მაგრამ მიუღებელია ის სიზარმაცე და უდარდელობა, რასაც თქვენ მიერ დაწინაურებული კადრების ნაწილი იჩენს. კადრების შერჩევის პრობლემა საქართველოში ლამის ტრადიციად იქცა! მაგრამ ცალკეულთა ქმედებებს თქვენდამი ღალატი ჰქვია. ერში მრავლად გვყავს უნიჭიერესი და შემოქმედი მკვლევარ-ანალიტიკოსები და პრაქტიკულად შემოქმედნი, რომელთა უპირველესი პარტია ჩვენი სამშობლოა! მათგან შექმენით „სტრატეგიული კვლევა-ანალიზისა და განსახორციელებელი ეფექტური რეფორმების დამოუკიდებელი სააგენტო“ (50 კაცის შემადგენლობით: 10 დარგში 5-5 კაცით), რათა დამოუკიდებლად დაამუშაონ ეფექტური წინადადებები და წარუდგინონ ერს. ეს წინადადებები და მთავრობის მიერ გასატარებელი ღონისძიებები კი საჯაროდ განიხილოს „მრჩეველთა უხუცესმა საბჭომ“ (20 კაცის შემადგენლობით). მერწმუნეთ, ეს იქნება ნამდვილი კონკურენტუნარიანი კვლევაძიება და საქმე, რომელსაც სადღეისოდ ქადაგებს ნამდვილი დემოკრატია. უფალმა დაგლოცოთ! ერი თქვენს გადაწყვეტილებებს ელის!

**ქვეყნის ხელისუფალნო, ჩემო ბატონებო, სანამ დროა, მივხედოთ ჩვენს სამშობლოს, მიწას, ხალხს, გენობრივ ინტელექტუალურ ნიჭს, წყალს და ჰაერს, სახლს და საყდარს. ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უფლის წყალობით ყველა პრობლემა გადაჭრადია!**

**ქართველი ერი ჩვენგან საქმის კეთებას ელოდება!**

უფლისმიერი სიყვარულით, ვაჟა ბერიძე
საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი
ბერიძეთა გვარის დარბაზის ეთნარქი,
ეკონომიკის დოქტორი, აკადემიკოსი
ტელ.: 599-33-53-60

**2019 წლის 10 იანვარი**

# რომან გოცირიძე: „თიბისი ბანკი ივანიშვილს ყელში გაეჩხირება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.

***– ბატონო რომან, თიბისი ბანკიდან პროკურატურამ დოკუმენტაცია გამოითხოვა. ძალიან ცუდი სუნი ასდის ამ ყველაფერსო ბრძანეთ და პოლიტიკურ სარჩულსაც ხედავთ ამ პროცესში. რა ხდება რეალურად? თუ ეს ასეა, რატომ გადაწყვიტა თიბისი ბანკზე შეტევა ხელისუფლებამ?***

– სწორედ რომ ასეა, თიბისი ბანკიდან საბუთების ამოღებას და რაღაც გასაიდუმლოებულ საქმეზე გამოძიების დაწყებას ძალიან ცუდი სუნი ასდის. შესაძლებელია, ეს იყოს ივანიშვილის მხრიდან ბანკებზე კონტროლის დამყარების მცდელობა.

ზოგადად ჩვეულებრივი მოვლენაა კომერციული ბანკების შემოწმებაც, ჯარიმებიც და ასე შემდეგ. თუმცა ჩვენ არ ვიცით, რა ხდება. როდესაც ხელისუფლების მიერ შედგენილი ტექსტი ვრცელდება სხვადასხვა სააგენტოს მეშვეობით და ეს პირდაპირ ბრძოლის გამოხატულებაა ბანკის მიმართ, რა თქმა უნდა, ამას უკვე სხვა სარჩული უდევს.

როცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ვიყავი, იმდენჯერ დაგვიჯარიმებია ბანკები, რომ ვინ მოთვლის... მათ შორის თიბისიც და ქართუ ბანკიც. თუმცა ეს დაჯარიმება ყოველთვის ხდება სხვადასხვა ტექნიკური გადაცდომების გამო და ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა.

***– იქნებ მათაც აქვთ გადაცდომა?***

– როდესაც ჩვეულებრივი საბანკო შემოწმების შედეგად, თუნდაც იგივე ზედამხედველობის სამსახური ჯარიმას უწესებს და ამას უკვე ხელისუფლება იყენებს და იწყებს იდეოლოგიურ შტურმს, აქ უკვე სხვა რამესთან გვაქვს საქმე. აქ ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ უფრო ღრმა თემებზე.

***– რას გულისხმობთ?***

– ეს კონფლიქტი დიდი ხნით ადრე დაიწყო და მას შეეწირა კვირიკაშვილი, რომელსაც საკმაოდ წარმატებული ვიზიტი ჰქონდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მან მოიპოვა პიროვნული ნდობა და ძალიან იშვიათი შემთხვევაა, როდესაც



ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი ერთი ერთზე პატიჟებს საკუთარ ოჯახში. რანჩოზე შედგა შეხვედრა, რომელსაც არც ელჩი ესწრებოდა და არც არავინ.

ანაკლიის პროექტი, რომელსაც აქვს არა მარტო დიდი ეკონომიკური დატვირთვა, არამედ სამომავლოდ შესაძლოა სამხედრო პორტადაც იქნას გამოყენებული, აღქმულ იქნა, როგორც კვირიკაშვილ-ხაზარაძის ტანდემის გაძლიერება და თავისებური ფარი, ქოლგა დასავლეთის ქვეშ.

ანაკლიის პროექტი, შესაძლოა, გამხდარიყო პოლიტიკური ზურგი ამერიკის მხრიდან კვირიკაშვილისთვის და მასთან ერთად მოიაზრებოდა იგივე ხაზარაძეც.

ძალიან მოულოდნელი და უცნაური იყო, რომ 150 კაცის თანდასწრებით, უმრავლესობის შეხვედრაზე, სადაც ყველა დეპუტატი მონაწილეობდა და ასევე მთავრობა, ივანიშვილმა პირდაპირ საჯაროდ დაადანაშაულა მამუკა ხაზარაძე იმ პერიოდში ქუჩაში გამართული ანტინარკოტიკული აქციის ორგანიზებაში, მის დაფინანსებაში, კვირიკაშვილი კი მის მხარდაჭერაში. პირდაპირ გვარებისა და სახელების დასახელებით.

***– რამდენად შეესაბამებოდა ეს ბრალდება სინამდვილეს?***

– ეს იყო სრული აბსურდი. მამუკა ხაზარაძე არის ძალიან ფრთხილი ადამიანი და ის არის ხელისუფლების მომხრე. ყოველთვის, ყველა არჩევნებში მამუკა ხაზარაძე მხარს უჭერდა ხელისუფლებას და ახლაც მხარი დაუჭირა სალომე ზურაბიშვილს.

ეს არ იყო უბრალო მხარდაჭერა, ეს იყო ირიბი ლანძღვა ნაციონალური მოძრაობის და გაერთიანებული ოპოზიციის. თურმე მას არ სურს ქვეყანაში რევანშისტული განწყობილებების შექმნა. დაახლოებით ასე ჟღერდა, რომ ხელისუფლებაში დაბრუნება სურს ნაცმოძრაობას, რომელიც ქვეყნისთვის იქნება ცუდი.

ხაზარაძე შეცდა იმაში, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა მიანიჭა თავის სიტყვის წონას ივანიშვილის თვალში.

***– ეს როგორ გავიგოთ?***

– ყოველი არჩევნების წინ ერთხელ ხელისუფლების შექება და მისი მხარდაჭერა მან ჩათვალა დიდ პოლიტიკურ ხარკად. თუმცა ეს ასე არ აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ როგორც საქართველოს ბანკი და გილაური, ისე თიბისი ბანკი და ხაზარაძე ლოიალური იყვნენ ხელისუფლების მიმართ, ეს სულაც არ აღმოჩნდა საკმარისი ივანიშვილის თვალში, ვინაიდან ივანიშვილის მთავარი მიზანი არის ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროზე კონტროლის დამყარება.

თიბისი ბანკი და საქართველოს ბანკი არის საქართველოს ეკონომიკის ღერძი, ფინანსური სისტემის ღერძი და მისი მიზანია ამ სექტორზე მოახდინოს გავლენა.

***– ანაკლიის პორტზე საუბრობთ და რატომ დაადგა ივანიშვილს გულზე ეს ლუკმა?***

– მას ანაკლიის პორტში ან საკუთარი ინტერესების ჩადება უნდა, ან პოლიტიკური საფრთხის შემცველია მისთვის, ვინაიდან ანაკლიის პორტი უკვე ხდება ყურადღების ცენტრი და როგორც ბაქო-ჯეიჰანის პროექტი გახდა დასავლეთისთვის მნიშვნელოვანი და რეალურად საქართველო გახდა მათი ინტერესების საგანი, ასევე ანაკლიის პორტმა, შესაძლებელია, რომ მსგავსი მნიშვნელობა შეიძინოს.

***– პროცესების რა განვითარებას ელოდებით თიბისი ბანკთან დაკავშირებით?***

– თიბისი ბანკი არ არის პატარა ლუკმა, ეს ივანიშვილს ყელში გაეჩხირება, ვინაიდან მის უკან დგანან ძალიან დიდი ფინანსური ინსტიტუტები, უცხოეთის საფონდო ბირჟებზეა გასული. ლონდონის ბირჟაზე და ასე შემდეგ.

მეორე მხრივ, ძალიან სახიფათოა ეს პროცესი, ვინაიდან საბანკო სისტემის რყევა გამოიწვევს ფინანსური სისტემის ჩამოშლას. ეს არის უბრალოდ მუქარა, ეს არის გაფრთხილება და დაშინება.

***– კონტროლი ხომ არ უნდათ თიბისი ბანკზე?***

– რა თქმა უნდა, პროგრამა მაქსიმუმი არის კონტროლის დამყარება, ხოლო პროგრამა მინიმუმი არის მდიდარი ქართველების დაშინებულ მდგომარეობაში ყოლა. თიბისი ბანკი იქნება, საქართველოს ბანკი თუ კოკა კოლა და სხვა ნებისმიერი დიდი ბიზნესი, ის უნდა იყოს შეშინებული.

ეს მესიჯი იკითხება ასე – ლონდონის ბირჟაზე გასულ უზარმაზარ ბანკს თუ ეს გავუბედე, მაშინ სხვას რას ვუზამ. მათ არ უნდა გაიხედონ ოპოზიციისკენ, არასდროს ოპოზიცია არ უნდა დააფინანსონ.

ხაზარაძისადმი მუქარას აქვს სხვა დატვირთვაც.

***– რა დატვირთვა?***

– ეს არის ბიზნესის დაშინება და კონტროლი. აქეთკენ რომ მიდიოდა საქმე, ამას ყველა ვამჩნევდით. ეს ჭარბვალიანობა, ბანკების რეგულირება და ასე შემდეგ. ეს ყველა შემოგდებული თემა შორს გამიზნული იყო. ეს ყველაფერი დამთავრდა წინასაარჩევნოდ ხალხის მოსყიდვით და ვითომდა ვალების ჩამოწერით.

ახლა არც კი ამბობენ, რა დაუჯდა ბანკ ქართულს ამ ვალების ჩამოწერა. ამბობენ, 4 მილიარდი ჩამოვწერეთო, რაც სრული აბსურდია. დაუჯდათ მიზერული თანხები, ეს სასაცილოა. უკვე ჩამოწერილი თანხები ჩამოწერეს.

ფაქტობრივად, სიები იყიდა ქართუ ბანკმა.

ორი მიზანი ჰქონდა ამ ჭარბვალიანობის და საბანკო თემის ამოწევას. ერთი, რომ შემდეგ ვითომდა ჰუმანური აქცია გაეკეთებინათ წინასაარჩევნოდ და მეორე, რომ განხორციელებულიყო შეტევა ფინანსურ ინსტიტუტებზე და აქედან სხვა პოლიტიკური შედეგი მიეღოთ.

ეს რუსული ვარიანტია. ფინანსური ინსტიტუტების ხელში ჩაგდება ერთ-ერთი საუკეთესო გზაა დიქტატურის დასამყარებლად, პუტინმაც ზუსტად ასე გააკეთა.

საქართველოში ეს არ გამოვა! ხელისუფლება ცეცხლს ნუ ეთამაშება ბანკებთან დაკავშირებით!

# „ეს პროცესი გარდაუვალია, ჩვენ მეორე ეტაპზე ვართ“

## შესაძლებელია თუ არა საქართველოში ადამიანების დაჩიპვა დაიწყოს?

დღეის მდგომარეობით, მსოფლიო მასშტაბით, არაერთი კომპანია სთავაზობს თანამშრომლებს ხელის მტევანში დასამონტაჟებელ მიკროჩიპებს, რაც მათ საშუალებას მისცემს, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, საბანკო ბარათების და მატარებლის ბილეთების გარეშე იარონ. ამასთან, როგორც კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, ის მათ სწრაფ და ნაყოფიერ მუშაობაში შეუწყობს ხელს.

იმპლანტირება ხდება გერმანიაშიც, სადაც ხელის თითში დამაგრებული მიკროჩიპის გამოყენებით, მოქალაქეებს საშუალება აქვთ, მეხსიერებაზე იზრუნონ და უსაფრთხოების პაროლები გაიხსენონ.

ადამიანების დაჩიპვის ტექნოლოგია შვედეთში 2015 წლიდან გამოიყენება, თუმცა მან ოფიციალური სახე 2018 წლის 28 დეკემბერს მიიღო.

შვედეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე გაზეთ „ახალ თაობასთან“ ყვება, რომ მის გარშემო მოქალაქეების უმეტესობა ამ ტენდენციას არასერიოზულად უყურებს, თუმცა, როგორც ის აღნიშნავს, საკუთარი თვალით აქვს ნანახი, გადასახდელ აპარატებთან მოქალაქეები რომ ხელის დადებით იხდიან.

– შვედეთმა მოქალაქეების დაჩიპვა ოფიციალურად 28 დეკემბერს დაიწყო. ჩიპზე თითოეული ადამიანის პირადი მონაცემები და მათი შემოსავალი იქნება ჩაწერილი, გაუქმდება ელექტრონული ბარათები და აიდი ბარათები. ისინი სხვა ქვეყნებში უპრობლემოდ შეძლებენ გასვლას. ამასთან დაკავშირებით მეც მაცნობეს, მაგრამ ვინაიდან შვედეთის მოქალაქე არ ვარ, ჩემთვის მისი გაკეთება არ შეიძლება.

ბევრს არ მოსწონს ეს ტაქტიკა, რადგან მათთვის მოუხერხებელია. ეს ამბავი ზოგს ზღაპარი ჰგონია, სერიოზულად არ უყურებენ, მაგრამ ჩემი თვალით დავინახე, ჩემს წინ ტიპმა მეტროს ხელი დაადო და გაიარა. ასევე მარჯვენა ხელს იყენებენ გადასახდელ აპარატებზეც. დაჩიპვა მარჯვენა ხელის მტევანში ხდება და ჯერჯერობით ეს ტენდენცია ბიზნესმენებსა და მილიონერებზე ვრცელდება, – ყვება „ახალ თაობასთან“ შვედეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე.

ყოფილა თუ არა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში დაჩიპვის ტენდენციაზე საუბარი და ხომ არ არის შესაძლებელი, რომ მსგავსი ტენდენცია საქართველოშიც შემოვიდეს?

ამაზე იუსტიციის სამინისტროში „ახალ თაობასთან“ აცხადებენ, რომ მსგავსი პროგრამის დანერგვა სამომავლო გეგმებში არ შედის.

ამ მოვლენებს განსხვავებულად უყურებს მამა ბასილი ახვლედიანი, რომელიც თვლის, რომ ეს პროცესი სამომავლოდ გარდაუვალია.

მისი ვარაუდით, თუკი მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს გავითვალისწინებთ, საქართველოში ეს ტენდენცია, შესაძლოა, ათ წელში შემოვიდეს.

***– ეს ცვლილებები და კანში მიკროჩიპების განთავსების ტენდენცია, თუკი გავიხსენებთ წინასწარმეტყველებას, აპოკალიფსთან კავშირშია?***

– წმინდა მამა პაისის სწავლებაზეა ჩვენი შეხედულებები დაფუძნებული. წმინდა მამა პაისი ათონელი ამბობდა, რომ მსოფლიო გლობალურ კონტროლთან მიახლოების პირველი ეტაპი იყო, როდესაც ყველას პირადი ნომრები მოგვცეს. მეორე ეტაპი არის დღეს, როდესაც ელექტრონული პირადობების დამადასტურებელი მოწმობები ურიგდებათ ადამიანებს, ე.წ. აიდი ბარათი, რომელიც დღეს თითქმის უფუნქციოა, მაგრამ თვითონ ჩვენი ხელისუფლების და წინა ხელისუფლების სიტყვებს რომ დავესესხოთ, ისინი ამბობდნენ, რომ 200-მდე ფუნქციის ბმა იყო გათვალისწინებული აიდი ბარათზე.

ნაციონალების დროს ასეთ რამეს ამბობდნენ, ჩემი სიტყვები და დაკვირვებები არ არის, თვითონ ხელისუფლება ამბობდა ამას. დღევანდელი ხელისუფლება ამბობს, რომ არა, ჩვენ არ მივაბამთ. ეს ძალიან ბავშვური საუბარია, რადგან თუ ამის საშუალებას პროგრესული თვალსაზრისით იძლევა რაიმე სახის დოკუმენტი თუ საბუთი, ამას ხვალ იქნება თუ ზეგ, გამოიყენებენ. ყოველ შემთხვევაში, ამის მანქანები ამუშავდება. ეს არის მეორე ეტაპი და მესამე ეტაპი არის დაჩიპვა ადამიანის, რომელიც მსოფლიოში უკვე ძალიან აქტიურად არის დანერგილი.

***– ანუ ჩვენ რა ეტაპზე ვართ?***

– ამბობენ, რომ ჩვენ ჯერჯერობით აიდიზაციის ეტაპზე ვართ და ელექტრონულ სისტემაში შესვლის ეტაპზე.

***– ყველა ქვეყანამ გაიარა ეს ორი ეტაპი ?***

– ზოგიერთ ქვეყანაში ეს მარტივად მოხდა. ჩვენ ეს ინფორმაცია პაისი ათონელისგან გვაქვს. პაისი ათონელი არის მართლმადიდებელი წმინდანი. ყველა ქვეყანაში მათი სულიერებისა და სიწმინდის ადეკვატურად ხდებოდა ეს პროცესი.



მაგალითად: ჩვენთან ბევრად უფრო სიღრმისეულად აღიქვამენ ამას.

იგივე რუსეთში, სადაც მე მაქვს ჩანაწერი ნანახი, სადაც პარლამენტის წინ გამოდის რუსეთის პატრიარქი და ყველას ეუბნება, რომ ძალიან დიდ შეცდომას ჩავდივართ, როდესაც ელექტრონულ სისტემაში შეგვყავს ყველა მოსახლე. იმიტომ, რომ ხვალ და ზეგ, წვდომა ნებისმიერი კომპეტენტური ადამიანისთვის იყოს შესაძლებელი, ანუ გამოდის, რომ გვერდითი გზებით ადამიანები იქნებიან დაუცველები.

***– რატომ შეიძლება ამ ჩიპმა იქონიოს ნეგატიური გავლენა ადამიანზე?***

– მე-20 საუკუნეში ჰიტლერის პროექტი არსებობდა. კვლევებს სულ მისტიკურ საკითხებზე ატარებდნენ. ასევე ატარებდნენ ლაბორატორიულ კვლევებს ცოცხალ ადამიანებზე. მაგალითად, ჭრიდნენ მათ, ოპერაციებს უკეთებდნენ ანესთეზიების გარეშე. ძალიან სასტიკი კვლევების შედეგად დაიდო ეს დღევანდელი ე.წ. მოწოდების სიმაღლეზე არსებული გერმანიის მედიცინა. მთლიანად ტკივილზე არის აგებული.

შესაბამისად, იქ არის ძალიან ბევრი გამოცდილება, როგორ შეიძლება ადამიანის ცნობიერსაე და ქვეცნობიერზე ზემოქმედება. ეს ძველი თემაა, უბრალოდ, ეს დაიხვეწა და ამ ჩიპის მეშვეობით, ზემოქმედება შესაძლებელი იქნება ადამიანზე.

ადამიანს აქვს კონკრეტული, ასე ვთქვათ, ვიბრაციები. დავუშვათ, რომ გამოვიკვლიოთ გული, როცა ის ჯანმრთელ მდგომარეობაშია, ან როდესაც რაღაც კონკრეტული რყევები აქვს და იწვევს მიკროინფარქტს, აი ამ სხვადასხვა მდგომარეობების დროს, მისი ენერგეტიკული ველი განსხვავებულია და ადამიანმა მიაღწია იმას, რომ მას შეუძლია ხელოვნურად გარედან შექმნას ეს კონკრეტული ვიბრაციები და ზემოქმედება იქონიოს კონკრეტულ ენერგეტიკულ ველზე, ორგანოებზე.

90-იან წლებში წიგნი იყო გამოცემული, რომელშიც 10.000-მდე ციფრი იყო დასახელებული, სხვადასხვა ორგანოები სხვადასხვა მდგომარეობის დროს რა ენერგეტიკულ ვიბრაციებს განიცდიდნენ. ეს იყო კონკრეტულ ციფრებში გამოხატული და აი ამ ჩიპის მეშვეობით, როგორც ამას ჩემზე უფრო ჭკვიანი და ბრძენი ადამიანები ამბობენ, შესაძლებელი ხდება ადამიანის კონტროლი ემოციის დონეზე.

მაგალითად, როცა ადამიანი ხატავს, ლოცულობს ან სინანულშია, ან აღსარებას აბარებს, ან ეზიარება, ან რაღაც სიკეთეს აკეთებს, ამ დროს ადამიანი კონკრეტულ ენერგეტიკულ ველში იმყოფება.

***– და ვინ აკონტროლებს ამ ენერგეტიკულ ველს?***

– თუ გავიხსენებთ, იოანეს გამოცხადებაში რაც გვიწერია, არის დიდი ალბათობა, რომ იქნება ერთი ადამიანი, რომელსაც წვდომა ექნება ამ სისტემასთან და, როგორც ამბობენ, ის ადამიანი ჩაიგდებს ხელში კონკრეტული კომპიუტერს, რომელიც სამ სართულზეა განთავსებული ბრიუსელშიო, ასე წერია იოანეს გამოცხადებაში.

ამ ადამიანს სახარება ანტიქრისტეს ეძახის, მოსახლეობა მსოფლიო პრეზიდენტს დაარქმევს. ეს იქნება ერთი არჩეული მმართველი მსოფლიოში. მას ყველა ადამიანთან წვდომა ექნება ემოციურ დონეზე სწორედ ამ ელექტრონული და ციფრული სისტემიდან იმ კანქვეშ არსებული ჩიპის მეშვეობით.

ეს ძალიან დიდი ისტორიაა და ძალიან რეალური. უბრალოდ, სახელებს არქმევს ამას ბიბლია სხვანაირად: როგორიცაა, „ეშმაკის მანქანება“. სამ ექვსიანზე როდესაც გვიწერია აპოკალიფსში, სამი ექვსიანი არის მისი სახელის რიცხვიო და ამით სადმე მაღაზიაში რომ შედიხართ და დაატარებთ ბარათებს, იქ ხომ რაღაც მოწყობილობაა, ე.წ. გადასახდელი აპარატი, რომელშიც პროდუქტი ტარდება და კომპიუტერში ისახება.

მთელ მსოფლიოში, ერთი და იგივე კოდით უგებს ეს მოწყობილობა იმ ბარათს. აქ ხომ გაგება და შეხება უნდა მოხდეს. ანუ გამხსნელი კოდი ყველა ბარათის, ყველა მოწყობილობის, მთელ მსოფლიოში არის 666.

ეს კოდი მსოფლიო კოდადაა დადებული და როცა შემქმნელებს ჰკითხეს თავის დროზე, ეს

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ტრაგედია ვაკეში

## სასწრაფოს მანქანა ტროტუარზე აქსის თაუერის მუშებს დაეჯახა.

გუშინ, 9 იანვარს, დილით, ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე სასწრაფო დახმარების მანქანა ტროტუარზე მდგარ მუშებს დაეჯახა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მანქანა, რომელსაც პაციენტი გადაჰყავდა, სავალი ნაწილიდან გადავიდა და აქსის თაუერის მშენებარე კორპუსთან მდებარე მუშებისთვის განკუთვნილ ფარდულს შეეჯახა.

დაშავებულები არიან აზერბაიჯანის მოქალაქეები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის წევრები.

შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა 1, ხოლო დაშავდა 12 ადამიანი.

დაშავებული 12 ადამიანი სამედიცინო ბრიგადებმა სხვადასხვა კლინიკებში გადაანაწილეს.

ქავთარაძის ქუჩაზე, კლინიკა „ევექსში" 4 დაშავებული მოათავსეს,



1 ადამიანი დაიღუპა, 12 დაშავდა.

რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, პირველადი ინფორმაციით, დამაკმაყოფილებელია.

2 დაშავებული, მათ შორის 1 მცირეწლოვანი, რომელიც ავარიის დროს სასწრაფოს მანქანაში იყო მოთავსებული, ხეჩინაშვილის კლინიკაში მკურნალობს.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით, რაც გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების, ექსპლუატაციის წესის დარღვევას მძღოლის მიერ, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

მოგვიანებით პოლიციამ სასწრაფოს მძღოლი დაკითხა, დაკითხვის დასრულების შემდეგ კი მას ბრალი წარუდგინა.

ექსპერტიზამ დაადგინა, რომ შემთხვევის დროს მძღოლი ფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ჭავჭავაძის გამზირზე მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის გამო თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

„აღნიშნული შემთხვევის მომენტში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ავტომანქანაში იმყოფებოდა პაციენტიც, რომელიც არ დაშავებულა და გადაყვანილია დანიშნულების ადგილზე.

მოგეხსენებათ, მომხდარის შედეგად, დაიღუპა 1, ხოლო დაშავდა 12 ადამიანი, მათ შორის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის 2 ექიმი. ყველა მათგანს უკვე გაეწია სათანადო სამედიცინო დახმარება" – ნათქვამია განცხადებაში.

# ცემა-ტყეპა გორის ცენტრში

## ნაცემია მამაკაცი



გუშინ, 9 იანვარს, ფიზიკური დაპირისპირება მოხდა გორის ცენტრში.

ცაბაძის ქუჩაზე მდებარე სანოტარო ბიუროში დაწყებული ჩხუბი ქუჩაში გაგრძელდა.

კამათი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ნაცემია მამაკაცი, დაზიანებები აქვს მიყენებული ქალსაც.

მამაკაცს დაზიანებები სახისა და თავის არეში აქვს მიყენებული. ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია. სამართალდამცველებმა 30 წლამდე მამაკაცი დააკავეს.

დაშავებულები სასწრაფო სამედიცინო ბრიგადებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს.

# პროკურატურა თიბისის წინააღმდეგ: „ვიძიებთ 2008 წელს 17 მილიონი დოლარის სესხის „სამგორი თრეიდისა" და „სამგორი M-ისთვის გაცემას"

## დაკითხული არიან მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და ავთანდილ წერეთელი



თიბისი ბანკის წინააღმდეგ პროკურატურის მიერ წარმოებულ გამოძიებაზე გუშინ, 9 იანვარს, საგამოძიებო უწყებაში განცხადება გაკეთდა.

უწყების განცხადებიდან ირკვევა, რომ სააქციო საზოგადოების წინააღმდეგ გამოძიება სსკ-ის 194-ე მუხლით მიმდინარეობს და იგი 2008 წელს ბანკისგან გარკვეული კომპანიების მიერ სათანადო უზრუნველყოფის გარეშე 17 მილიონი აშშ დოლარამდე სესხის მიღებას უკავშირდება.

„ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა 2018 წლის მაისში დაიწყო თიბისი ბანკის, მისი კლიენტი იურიდიული პირების, ბანკის ადმინისტრატორებისა და ცალკეული აქციონერების ფინანსური აქტივობების შესწავლა და მივიდა დასკვნამდე, რომ ამ აქტივობებში აშკარად იკვეთებოდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ანუ ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ნიშნები.

აღნიშნული მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საქართველოს ეროვნულ ბანკს და საქართველოს პროკურატურას.

ეროვნულმა ბანკმა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლა საკითხი და აღმოჩენილ დარღვევებზე მოახდინა შესაბამისი რეაგირება.

ხოლო საქართველოს პროკურატურამ 2018 წლის 2 აგვისტოს დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ფაქტზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194 მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით.

გამოძიებით დადგენილია, რომ 2008 წლის აპრილში და მაისში, შპს „სამგორი თრეიდმა" და შპს „სამგორი M"-მა, თიბისი ბანკისგან, სათანადო უზრუნველყოფის გარეშე, დაჩქარებული წესით მიიღეს საერთო ჯამში 17 მილიონ აშშ დოლარამდე სესხი.

კომპანიების ანგარიშებზე სესხის თანხის განთავსებისთანავე, მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ, ამავე კომპანიებიდან, როგორც ფიზიკურმა პირებმა, ისესხეს ზუსტად იმ ოდენობის თანხა, რაც თიბისი ბანკმა საბრუნავი საშუალებების შევსების მიზნობრიობით ასესხა დასახელებულ კომპანიებს.

2008 წლის ბოლოს, თიბისი ბანკმა, აღნიშნული სესხები, საბანკო რეგულაციებით დადგენილ ვადაზე ადრე, დაუსაბუთებლად ჩამოწერა და გარე საბალანსო ანგარიშზე გადაიტანა, ხოლო 2012 წელს საერთოდ გაათავისუფლა ეს კომპანიები ბანკის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულებისგან, როდესაც დათანხმდა ამ ვალდებულებების ოფშორულ კომპანიაზე გადატანას.

საგულისხმოა, რომ „სამგორი თრეიდს" და შპს „სამგორი M"-ს სესხები ისე ჩამოეწერა, რომ ამ კომპანიებს სესხის მომსახურებისთვის თანხა საერთოდ არ გაუღიათ და აღნიშნული სესხები ბანკს დღემდე არ დაბრუნებია. გარდა ამისა, დადგენილია, რომ მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს ასევე არ გაუსტუმრებიათ შპს „სამგორი თრეიდისა" და შპს „სამგორი M"–ის ვალი.

გამოძიების ფარგლებში ჩატარდა არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, გამოიკითხნენ ფაქტთან შემხებლობაში მყოფი პირები, მათ შორის გამოკითხულია მამუკა ხაზარაძეც.

გამოძიების ამ ეტაპზე, შესაძლო დანაშაულებრივი ფაქტების სრულყოფილად შესწავლისთვის, აუცილებელია დამატებითი დოკუმენტაციის და ინფორმაციის მოპოვება და შესწავლა, რისთვისაც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ 2019 წლის 4 იანვარს შუამდგომლობებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, სს თიბისი ბანკიდან ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე.

სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული შუამდგომლობები შესასრულებლად ჩაბარდა სს თიბისი ბანკს.

საქმეზე საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, გენერალური პროკურატურა საზოგადოებას პერიოდულად მიაწვდის ინფორმაციას გამოძიების შესახებ" – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

* * *

გუშინვე განცხადება გააკეთა გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორმა სალომე ჩიქობავამ.

მისი თქმით, ხანდაზმულობის ვადა გასული არ არის.

– ინფორმაცია მოწოდებული იქნა 2018 წლის ივლისში, ზაფხულში, ორ დღეში დაიწყო გამოძიება. გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა მხოლოდ ფინანსური მონიტორინგის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

დაიკითხა შემხებლობაში მყოფი ყველა პირი, პირების გარკვეული ნაწილი გამოძიების შემდგომ ეტაპზე დაიკითხება. მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე, გიდასტურებთ, რომ დაიკითხნენ. ავთანდილ წერეთელიც დაკითხულია.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით, განეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულს, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა ამ ეტაპზე გასული არ არის. გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გაანალიზების შედეგად გადაწყდება სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება-არდაწყების საკითხი, – განაცხადა პროკურორმა სალომე ჩიქობავამ.

* * *

გუშინვე თიბისი ბანკის მენეჯმენტმა განცხადება გაავრცელა.

მასში ნათქვამია:

„8 იანვარს, გვიან საღამოს, რამდენიმე მედია პორტალმა გაავრცელა მცდარი და მიზანმიმართულად დამახინჯებული ინფორმაცია, რომელიც ემსახურება ქვეყნის წამყვანი ფინანსური ინსტიტუტისა და მისი დამფუძნებლების რეპუტაციის შელახვას.

ცხადია, რომ ამ ინფორმაციის გამავრცელებლების მიზანია ზიანი მიაყენოს ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს – თიბისი ბანკს – ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით გვინდა განვაცხადოთ, რომ კატეგორიულად უარვყოფთ ამ ორკესტრირებული შავი პიარის ავტორების მიერ შეთითხნილ ბრალდებებსა და შეგნებულად დამახინჯებულ ფაქტებს.

თიბისი ბანკი არის და დარჩება ქვეყანაში და რეგიონში ლიდერ ფინანსურ ინსტიტუტად, რომელიც წარმოადგენს კორპორაციული მართვისა და პასუხისმგებლობის საუკეთესო მაგალითს, რაც აღიარებულია საერთაშორისო ინსტიტუციების და ინვესტორების მიერ.

თიბისი ბანკი არის ლონდონის საფონდო ბირჟაზე განთავსებული მოწინავე საჯარო კომპანია, რომელიც წარმოდგენილია პრემიუმ სეგმენტში (FTSE250 სიაში) და წარმოადგენს მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის ინვესტორთა და აქციონერთა ინტერესებს საქართველოში.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ თიბისი ბანკის არსებობის 27 წლის განმავლობაში, ყველა პოლიტიკური მმართველობის პერიოდში, არაერთხელ ყოფილა თავდასხმის ობიექტი. თიბისი ბანკს და მის მენეჯმენტს გამოუვლია არაერთი კრიზისი და ყველა ხელისუფლების პირობებში ყოველთვის დაუმტკიცებია და მომავალშიც დაამტკიცებს თავის სიმართლეს.

რაც შეეხება პროკურატურის მიერ გაკეთებულ კომენტარს დოკუმენტების ამოღებასთან დაკავშირებით, საკითხი ეხება 2008 წლის რიგით, კანონიერ საბანკო ოპერაციას, რომელიც:

- არაერთხელ იქნა სახელმწიფო სტრუქტურების და ეროვნული ბანკის მიერ შესაბამის პერიოდებში შემოწმებული, როგორც მოქმედი, ისე წინა ხელისუფლების დროს;
- არაერთხელ იქნა საერთაშორისო აუდიტორების მიერ შემოწმებული და მათი სისწორე დადასტურებული;
- ამასთან, მოცემული ტრანზაქცია ხანდაზმულია.

თიბისი ბანკი ვერ შეეგუება მიზანმიმართული დისკრედიტაციისა და რეპუტაციის შელახვის მცდელობას, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს ის, და საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ადგილობრივ და საერთაშორისო სამართლებრივ ბერკეტს თიბისი ბანკის, მისი დამფუძნებლებისა და საერთაშორისო აქციონერების კანონიერი ინტერესების დასაცავად".

# აჭარის სუს-ის უფროსმა ირაკლი ერისთავმა თანამდებობა დატოვა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში საკადრო ცვლილებები ხორციელდება. კერძოდ, როგორც „ინტერპრესნიუსს" სუს-ში განუცხადეს, ცვლილებები რეგიონალურ სამსახურებს ეხება, რომლის ფარგლებშიც ხდება საკადრო გადაადგილებები. სხვა კონკრეტიკისგან უწყებაში თავს იკავებენ.

ერთ-ერთი რეგიონი, რომელსაც ცვლილება შეეხება, აჭარაა. კერძოდ, როგორც მედია წერს, აჭარის სუს-ის უფროსმა ირაკლი ერისთავმა თანამდებობა დატოვა, თუმცა რა ახალ პოზიციაზე გადავა ის, ჯერჯერობით უცნობია.

ირაკლი ერისთავი აჭარაში სუს-ის უფროსის თანამდებობაზე, ფაქტობრივად, ამ უწყების შექმნიდანვე, 2015 წლის სექტემბრიდან მუშაობდა.

2019, 10 იანვარი, №7

# ტრამპმა მოსახლეობას ტელევიზიით მიმართა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მოსახლეობას ტელევიზიით მიმართა. ეს იყო მისი პირველი მიმართვა ერისადმი.

ტრამპი შეეცადა დაერწმუნებინა ამერიკელები, რომ მექსიკასთან კედლის აშენება აუცილებელია. საზღვარზე შექმნილ მდგომარეობას მან კატასტროფული უწოდა.



– კედლის აშენება ამერიკის ეროვნული უსაფრთხოებისთვისაა აუცილებელი, – თქვა ტრამპმა.

პრეზიდენტს პასუხი დემოკრატების წარმომადგენლებმა ნენსი პოლოსიმ (კონგრესის სპიკერი) და სენატორმა შუმერმა გასცეს. მათ განაცხადეს, რომ საზღვრის დაცვის გაძლიერება აუცილებელია, მაგრამ კედლის მშენებლობა არა.

– კედლის აშენება არა მხოლოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა, არამედ არაეფექტურიც. ამერიკელი გადასახადების გადამხდელი ამას არასოდეს არ დათანხმდება, – თქვა პოლოსიმ.

# ჯონ ბოლტონი თურქეთში ჩავიდა



აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების დარგში ჯონ ბოლტონი ანკარაში ჩავიდა. ის თურქეთის პირველ პირებს ხვდება. მოლაპარაკებების ძირითადი თემებია სირიაში შექმნილი მდგომარეობა და ირანი.

სირიიდან აშშ-ის ჯარების გაყვანას თურქეთში სიხარულით შეხვდნენ. ოფიციალურმა ანკარამ ეს აღიქვა, როგორც მწვანე შუქი ქურთულ ფორმირებებთან საომრად. პრეზიდენტი ერდოღანი არაერთგზის აცხადებდა, რომ სირიაში მოქმედი ქურთული ფორმირებები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ქურთისტანის მუშათა პარტიასთან. ეს უკანასკნელი თურქეთის წინააღმდეგ ტერორისტულ მოღვაწეობას ეწევა. ერდოღანსაც ხსენებული ფორმირებების განადგურება სურს.

მეორე საკითხია ირანი. ამ ეტაპზე ირანი და თურქეთი პარტნიორები არიან. ერდოღანიც არაერთგზის აცხადებდა, რომ ვაშინგტონის მიერ ირანის მიმართ დაწესებული სანქციების წინააღმდეგია.

აშშ-ს ჰაერივით სჭირდება თურქეთი, რომელსაც დიდი და ძლიერი არმია ჰყავს და სირიასთანაც საზღვარი გააჩნია. თურქეთს შეუძლია გაანეიტრალოს ირანის გავლენა როგორც სირიაში, ასევე საერთოდ ახლო აღმოსავლეთში. ამერიკელებიც თურქეთთან ურთიერთობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. ბოლტონის ვიზიტის მეორე მიზანიც ვაშინგტონ-ანკარას შორის ურთიერთობების მოგვარებაა.

ყოფილი თურქი დიპლომატი აიდინ სელჩენი მიიჩნევს, რომ ბოლტონი შეეცდება, თურქეთთან შეთანხმებას მიაღწიოს, დაიყოლიოს ერდოღანი, რომ ახლო აღმოსავლეთში ირანის გავლენის ზრდა გაანეიტრალოს.

ისტორიულად ირანი და თურქეთი მოწინააღმდეგენი არიან. დღეს ირანი თეოკრატიული სახელმწიფოა, თურქეთი – საერო. ანკარას არ შეიძლება არ აშფოთებდეს ის, რომ ირანში არ ეთხოვებიან ოცნებას ისლამური რევოლუციის ექსპორტის თაობაზე. შესაბამისად, თურქეთი იკვეთება როგორც ამერიკელების ბუნებრივი მოკავშირე, მით უმეტეს, რომ თურქეთი ნატოს წევრია.

ამავე დროს არსებობს სერიოზული უთანხმოებაც. ესაა ქურთების საკითხი. ბოლტონის უკანასკნელმა განცხადებამ, რომელიც მან თურქეთში ჩასვლის წინ გააკეთა, ანკარა შეაშფოთა.

– ბოლტონმა აღნიშნა, რომ აშშ თავისი მოკავშირე ქურთებს უპატრონოდ არ მიატოვებს, – ამბობს სელჩენი

ერდოღანმა ამერიკელების ასეთი პოზიცია დაგმო.

– ბოლტონის პოზიცია ქურთების საკითხზე მცდარია, – თქვა მან.

თურქეთის პრეზიდენტი ანკარაში ჩასულ ბოლტონს არ შეხვდა. ქურთების პრობლემა იმდენად სერიოზულია, რომ მის გადასაწყვეტად ტრამპისა და ერდოღანის შეხვედრა იქნება აუცილებელი.

– ბოლტონის ვიზიტს შეუძლია ეს შეხვედრა დააჩქაროს, – მიიჩნევს სელჩენი.

სწორედ ტრამპისა და ერდოღანის შეხვედრის შემდეგ გამოჩნდება, თუ როგორი იქნება აშშ-თურქეთის ურთიერთობები.

# გერმანიის პოლიციამ ჰაკერი დააპატიმრა




გერმანიის პოლიციამ ჰაკერი დააპატიმრა. მან ქვეყნის წამყვანი პოლიტიკოსების კომპიუტერებში შეაღწია, საიდუმლო მონაცემები ამოიღო, შემდეგ კი სოციალურ ქსელში გამოიტანა.

ჰაკერი 20 წლისაა. მისი კავშირები უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან ან რაიმე დაჯგუფებებთან ჯერჯერობით ვერ აღმოაჩინეს.

# ვაცლავ კრაუსი: „პუტინის კარგად მესმის“

## უკრაინელებმა ჩეხებს უსაყვედურეს




ჩეხეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ვაცლავ კრაუსმა განაცხადა, რომ უკრაინა რუსეთის წინაშე გამომწვევად იქცევა და ამით პუტინს ომისკენ უბიძგებს.

– თუკი მშვიდობისთვის აუცილებელია, უკრაინის ზოგ რეგიონს ავტონომია უნდა მიანიჭონ. თუ რუსეთი ღიზიანდება, არც ავტოკეფალური ეკლესია უნდა შეიქმნას, არც სტეპან ბანდერა თუ მსგავსი მოღვაწეები გმირებად არ უნდა გამოაცხადონ, – განაცხადა კრაუსმა.

ჩეხეთის ექსპრეზიდენტმა აღნიშნა, რომ პუტინის ადამიანურად ესმის. ჯერ კიდევ 25 წლის წინ, რუსეთი ვეებერთელა იმპერიას წარმოადგენდა. საუბარი იყო იმაზე, წავლენ თუ არა რუსები ავღანეთიდან, აფრიკიდან, ცენტრალური ამერიკიდან. ახლა კი მათ ეუბნებიან, რომ კიევი საზღვარგარეთია, ყირიმი სხვას ეკუთვნის, სტეპან ბანდერა გმირია. რუსეთში კი დღესაც ცოცხალნი არიან ომის ვეტერანები, ვისაც ბანდერელის მიერ ნასროლი ტყვია მოხვედრია.

– რუსეთის პრეზიდენტის სასახელოდ მინდა ვთქვა, რომ ის ცდილობს, ემოციებს არ აჰყვეს, – თქვა კრაუსმა.

უკრაინის ელჩმა ჩეხეთში პერებიინოსმა ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტის გამოსვლას დასანანი უწოდა.

– ძალიან უკმაყოფილო ვარ. კრაუსისაგან ამას არ ველოდი, – თქვა ელჩმა.

გაცილებით მკვეთრი იყო უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატის ოლეგ ლიაშკოს რეაქცია:

– როგორც ჩანს, კრაუსის ოჯახს ფული შემოაკლდა და პუტინის ოცდაათ ვერცხლს დახარბდა! გრცხვენოდეთ, ბატონო კრაუს! – განაცხადა ლიაშკომ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

# მოზარდმა დედას არ დაუჯერა და ოჯახი დაღუპვას გადაარჩინა



აშშ-ში მოზარდი ღამით სერიალს უყურებდა, მიუხედავად იმისა, რომ დედამ აუკრძალა გვიან ღამით სერიალის ყურება, ამის გამო მან დროულად შენიშნა ხანძრის გაჩენა.

ინციდენტი დელავერის შტატში რამდენიმე დღის წინ მოხდა. ანჟელა მარი ბორდერმა თავის 13 წლის შვილს დამირს მოსთხოვა, რომ სერიალისთვის გვიანობამდე არ ეყურებინა და დასაძინებლად წასულიყო.

მოზარდმა დედას არ დაუჯერა, ხოლო ღამის პირველ საათზე ბოლის სუნი იგრძნო. დამირმა სასწრაფოდ დედა გააღვიძა და სამაშველო სამსახურში დარეკა. შემდეგ კი ორივე ალმოდებული სახლიდან ქუჩაში გამოვარდნენ.

– არ ვიცი, ახლა სად ვიქნებოდით, შვილს ჩემთვის რომ დაეჯერებინა და დასაძინებლად წასულიყო, – აღიარა ქალმა. მისი მეუღლე იმ დროს სამსახურში იმყოფებოდა. მეხანძრეების თქმით, აალება მწყობრიდან გამოსულმა გამანაწილებელმა ფარმა გამოიწვია. სახლი აღდგენას აღარ ექვემდებარება. ოჯახის ოთხი ძაღლიდან ორი მკვდარი იპოვეს, ორი კი უკვალოდაა დაკარგული.

წითელმა ჯვარმა ოჯახს 600 დოლარი გამოუყო, რათა მათ დროებით სასტუმროში ოთახის დაქირავება შეძლონ. მეზობლებმა კი თანხის შეგროვება დაიწყეს, რათა დაზარალებულებმა პირველადი მოხმარების ნივთების შეძენა შეძლონ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

## სხვადასხვა

- შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

- მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.
- ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# შერმადინი იგებს, სანაძე ახალ კლუბში გადავიდა



გიორგი შერმადინის უნიკახამ ევროთასის ტოპ 16-ს მორიგ ტურში სერბულ ცრვენა ზვეზდას 79:74 სძლია, ქართველ ცენტრს კი ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა.

ქართველი კალათბურთელი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 24 წუთში 13 ქულა, 9 მოხსნა (4 შეტევაში), 3 პასი და 1 დაფარება მიითვალა. გიორგიმ 8-დან 6 ორქულიანი და საჯარიმო ჩააგდო. შედეგად, ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 19-ს გაუტოლდა და ის მალაგელთა რიგებში მხოლოდ ფრანგ ცენტრ მატიას ლესორს (25) ჩამორჩა, ვინც 16 ქულა ჩააგდო.

უნიკახამ თითო მოგება-წაგება მოაგროვა და ჯ ჯგუფში სწორედ ცრვენა ზვეზდასთან ერთად, 2-3 ადგილებს ინაწილებს.

მომდევნო შეხვედრას უნიკახა ისევ შინ, ფრანგულ ლიმოჟთან გამართავს.

ქართველ ლეგიონერთა არმიას შეუერთდა დუდა სანაძე, რომელიც კარიერას პოლონეთის უმაღლესლიგურ კლუბ როსა რადომში გააგრძელებს. საქართველოს ეროვნული გუნდის მსროლელს წინა სეზონის უმეტესი ნაწილი ტრავმისა და ნაოპერაციევი ფეხის გამო გაუცდა, ხოლო მიმდინარე სეზონში 1 თვე ესპანურ დელტეკოში გაატარა. ამ კლუბმა ფინანსური პრობლემების გამო სანაძეს კონტრაქტი სეზონის ბოლომდე ვერ გაუხანგრძლივა და დუდამ დაახლოებით თვენახევარი უკლუბოდ გაატარა.

საბოლოოდ, სანაძემ კონტრაქტი პოლონურ კლუბთან გააფორმა, რომელიც წინა სეზონში ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდა, თუმცა წლეულს შიდაჩემპიონატის ფლეი ოფში მოსახვედრად იბრძვის.

სანაძემ რადომელებთან კონტრაქტი ელექტრონულად გააფორმა და პოლონეთში გუშინ ჩავიდა.

როსა რადომს პოლონურ უმაღლეს ლიგაში, სადაც 16 გუნდია, 14 ტურის შემდეგ 5 გამარჯვება აქვს და მე-11 ადგილზე იმყოფება. ფლეი ოფში 8 საუკეთესო გადის, თუმცა წინ კიდევ რეგულარული ჩემპიონატის 16 ტურია.

# მანჩესტერული ამბები



მანჩესტერ იუნაიტედი დიდად არის მოწადინებული ფიორენტინას ნიჭიერი მცველის, ნიკოლა მილენკოვიჩის გადასაბირებლად.

21 წლის მილენკოვიჩმა სერბეთის ნაკრებში 10 მატჩის ჩატარება უკვე მოასწრო, ხოლო საკლუბო დონეზე ბელგრადის პარტიზანსა და ფიორენტინას შემადგენლობაში 79-ჯერ მოირგო მაისური.

იტალიური მედია იტყობინება, რომ მანჩესტერი დაცვის ცენტრალური ხაზის გასაძლიერებლად პერეირას დასათმობადაც მზად არის. თავის მხრივ პერეირასადმი ინტერესს ფიორენტინაც იჩენს. ფლორენციული კლუბის ინტერესი გამოწვეული ჯორდან ვერეტუსთან შესაძლო განშორებით, რომელიც ნაპოლიში გადასვლასთან არის ახლოს.

იტალიური მედიის გარდა, სხვა წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ, შესაძლოა, იუნაიტედმა მილენკოვიჩის შეძენა ბარტერის გარეშეც სცადოს და მასში 45 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს.

მანჩესტერ იუნაიტედმა მოლაპარაკებები ფილიპე კოუტინიოს ტრანსფერის თაობაზე წამოიწყო.

ბრაზილიელი ფეხბურთელი ბარსელონას გასულ წელს შეუერთდა, მაგრამ ლივერპულიდან გადასვლის შემდეგ თავის დამკვიდრება ვერ მოახერხა. თავის მხრივ, კოუტინიოს დაბრუნებაზე მერსეისაიდელებიც ფიქრობენ. თუმცა, კოუტინიოს მსურველთა რიგი დიდია – მანჩესტერ იუნაიტედი, ჩელსი, მანჩესტერ სიტი და პარი სენ-ჟერმენი მზად არიან მის შესაძენად, თუკი კოუტინიო „ნოუ კამპის“ დატოვებას დააპირებს.

იუნაიტედმა პირველმა მიმართა ბარსელონას, რათა კონკურენტებს 26 წლის ფეხბურთელის შეძენა დაასწროს, თუმცა ფეხბურთელის პო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შედეგები

8 იანვარი

**ფეხბურთი**

**აზიის თასი**

ერაყი-ვიეტნამი ............................ 3:2
ს.არაბეთი-ჩრ.კორეა .................... 4:0

**ამხანაგური მატჩი**

შვედეთი-ფინეთი ........................... 0:1

**ინგლისი. ლიგის თასი**

ტოტენჰემი-ჩელსი ........................ 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ამიენი-ანჟე .................................. 0:0
ნანტი-მონპელიე .......................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 17 | 15 | 2 | 0 | 50-10 | 47 |
| 2.ლილი | 19 | 10 | 4 | 5 | 29-19 | 34 |
| 3.ლიონი | 18 | 9 | 5 | 4 | 30-21 | 32 |
| 4.მონპელიე | 18 | 8 | 6 | 4 | 25-15 | 30 |
| 5.სტ.ეტიენი | 18 | 8 | 6 | 4 | 28-22 | 30 |
| 6.მარსელი | 17 | 8 | 3 | 6 | 30-26 | 27 |
| 7.სტრასბური | 19 | 6 | 8 | 5 | 30-23 | 26 |
| 8.რენი | 18 | 7 | 5 | 6 | 27-25 | 26 |
| 9.რეიმსი | 19 | 6 | 8 | 5 | 15-18 | 26 |
| 10.ნიცა | 18 | 7 | 5 | 6 | 13-17 | 26 |
| 11.ნანტი | 18 | 6 | 5 | 7 | 26-25 | 23 |
| 12.ნიმი | 18 | 6 | 5 | 7 | 26-28 | 23 |
| 13.ბორდო | 17 | 5 | 7 | 5 | 20-20 | 22 |
| 14.ტულუზა | 18 | 5 | 6 | 7 | 17-27 | 21 |
| 15.ანჟე | 18 | 4 | 8 | 6 | 20-22 | 20 |
| 16.კაენი | 19 | 3 | 9 | 7 | 19-25 | 18 |
| 17.ამიენი | 19 | 5 | 3 | 11 | 17-31 | 18 |
| 18.დიჟონი | 18 | 4 | 4 | 10 | 16-31 | 16 |
| 19.მონაკო | 18 | 3 | 4 | 11 | 16-29 | 13 |
| 20.გენგამი | 18 | 2 | 5 | 11 | 14-34 | 11 |

**საფრანგეთი. ლიგის თასი**

ლიონი-სტრასბური ....................... 1:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# რატი მსხვილიძე: „ევროპირველობაზე მოხვედრა კარიერის მშვენიერი დასასრული იქნება“



საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების წევრი რატი მსხვილიძე ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილია. მართალია, ახლა უკლუბოდაა, მაგრამ საქართველოს ნაკრებში ემზადება მალტის შესარჩევი ტურნირისთვის.

2007 წლის 3 იანვრიდან, როდესაც პირველად ითამაშა ეროვნულ გუნდში, სულ 28 მატჩში გატანილი 112 გოლი დაუგროვდა. აქედან 42 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის (2013-14 წლებში) 6 მატჩში გაიტანა ლიტვის, თურქეთისა და ფინეთის წინააღმდეგ, მარტო თურქეთს ერთ შეხვედრაში 11 ბურთი შეუგდო. ჩვენი ნაკრების მწვრთნელი მაშინაც ჯორჯე რაშიჩი იყო...

**რატი მსხვილიძე:**

– ჯორჯე, რა თქმა უნდა, სერიოზული მწვრთნელია და მაშინ 3 ძალიან კარგი თამაში მოვიგეთ სპორტის სასახლეში. ის კარგადაც დაგმუხტავს მატჩის წინ, თამაშის ზუსტ მონახაზსაც გააკეთებს, პერსონალურ დავალებასაც მოგცემს და შემადგენლობის ტრიალიც კარგი იცის. 2013-14 წლების იმ გუნდის ლიდერებიდან მარტო ვოვა რუსია გვაკლია, თუმცა, არის ახალგაზრდების ძალიან კარგი თაობა, ამიტომაც მალტაშიც 3 მოგებას ვგეგმავთ და ფლეი ოფშიც გვექნება კარგი შანსები.

***– საკლუბო კარიერაში რამე სიახლე ხომ არ იგეგმება?***

– მაკედონიის რაბოტნიკიდან წამოსვლის შემდეგ უგუნდოდ ვარ. იქაურ ჩემპიონატში შარშან მესამე ადგილი დავიკავეთ. ახლახან დამირეკა აგენტმა და რუსეთის სუპერლიგის ვარიანტი შემომთავაზა. კრასნოდარის გუნდია, მეხუთე ადგილზეა, მაგრამ ჯერ ნაკრების თამაშებია და ამის დრო არა მაქვს. დამთავრდება მალტის ტურნირი და განვიხილავ.

***– შენი სიმაღლის, 207 სანტიმეტრიანი ცაცია შუამარბი ხელბურთში დიდი იშვიათობაა. უნგრელი ნადი ან ხორვატი კოპლიარი შეიძლება გავიხსენოთ. თავის დროზე ძალიან სერიოზულ საკლუბო კარიერას გიწინასწარმეტყველებდნენ.***

– ისლანდიის სტიარნანში რომ წავედი პირველად, 20 წლის ვიყავი. როლანდ ერაძე იქ იყო და მეხმარებოდა, მაგრამ სრულიად უცხო გარემოში მოვხვდი, იქაური ენაც ძალიან რთული იყო. მერე სეზონნახევარი ვიყავი სერბეთის მეტალოპლასტიკაში, რომელსაც ფინანსური საქმეები აერია. ხორვატიის ნექსესგან მქონდა წინადადება, მაგრამ სერბებმა უარი უთხრეს.

ჩემი მთავარი პრობლემა ტრავმები იყო. 3 რთული ოპერაცია მაქვს გადატანილი – მუხლის, მხრის და მყესის. ჩემი სიმაღლის კაცისთვისაც კი მძიმე ვარ – მინიმუმ 120 კილოგრამი უნდა ვიყო, რომ ვითამაშო, ისე ჯანზე ვერ ვიქნები. მსხვილი ძვალი მაქვს და, ბუნებრივად, ასეა. ეს 120 კილო კი ძალიან დიდი დატვირთვაა სახსრებისთვის, მყესებისთვის. ამის გარდა, შეიძლება მეც რამე დავაკელი, სადღაც ვიზარმაცე ან ნაკლებად მიზანდასახული ვიყავი, მაგრამ ძირითადი მიზეზი მგონია, რომ ტრავმებია.

***– ნაკრებში მაინც შთამბეჭდავი კარიერა გქონდა. განსაკუთრებით იმ სეზონში, თურქეთს სპორტის სასახლეში რომ 11 გოლი გაუტანე.***

– მაშინ ზუსტად თურქეთში ვთამაშობდი. ჯერ ტრაბზონსფორში, მერე ტრაბზონის მეორე გუნდში, თუთუნსფორ აქჩაბათში. ბეშიქთაშის გარდა ყველას თანაბრად ვეთამაშებოდით. კარგ ფორმაში ვიყავი 2014 წლის ბოლოსაც, როდესაც 2 მატჩი გვქონდა ესტონეთთან. მეორე მატჩი თბილისში იყო და 6 გოლი გავიტანე. მოვიგეთ. მეორე დღეს მირეკავს ჩემი აგენტი, ზორან შეკულარაცი – რატი, ბუნდესლიგის გუნდია, კარგი პირობები აქვთ.

***– რომელი გუნდი იყო?***

– არ მიკითხავს, აზრი არ ჰქონდა. ხომ გახსოვს, ესტონეთთან თამაში მე ტრავმის გამო ვერ დავასრულე და ვუთხარი – ზორან, გუშინ აქილევსის მყესი გავიწყვიტე, ხვალ ოპერაციას მიკეთებენ. რა დროს ბუნდესლიგაა. 28 წლის ვიყავი მაშინ. კარიერის დიდი ნაწილი წინ იყო, მაგრამ ამ ტრავმის შემდეგ ჩემი საქმე დაღმა წავიდა. ერთი წელი გამიცდა და გერმანიის ნაცვლად მომიხდა ირანში წასვლა. ნაკრებშიც ბევრი გამოვტოვე.

***– თავიდანვე მაღალი და დიდი იყავი?***

– არა. ხელბურთის თამაში რომ დავიწყე, გლდანში, თამაზ ჩხაიძესთან, ვიყავი 15 წლის და 180 სანტიმეტრი. დამაყენეს ხაზზე. ცაცია ვიყავი, მაგრამ ორივე ხელს ვხმარობდი. მერე, ერთ ზაფხულში მოვიმატე 15-16 სანტიმეტრი. უკვე ქარიშხალაში ვიყავი და, ცხადია, გამამწესეს მარცხენა ინსაიდად. სიმაღლეში სადღაც 20-21 წლამდე ვიზრდებოდი, სანამ 207 არ გავხდი.

***– შენი ბიჭიც მაღალია.***

– მის ასაკში მე ბევრად დაბალი ვიყავი.

***– ცაციაა?***

– არა, მაგრამ ცაციასაც ხმარობს. ორივეს ხმარობს, ჩემსავით. 7 წლისაა. ხელბურთზე ჯერ არ მიმიყვანია, ადრეა.

***– შარშან ბავშვობის პოზიციაზე, ხაზზე ითამაშე ნაკრებში, რაშიჩი რას გპირებს?***

– უფრო ინსაიდზე ვარ. თუმცა, სადაც დამაყენებს, იქ ვითამაშებ. მერე კლუბის საქმეებსაც მივხედავ. ჯერ ვაპირებ თამაშს, თუ ტრავმა არ მექნა, რა თქმა უნდა. ჯორჯე ამბობს, რომ, ევროპის ჩემპიონატზე გასვლისთვის უნდა ვიბრძოლოთ. მაგას რა ჯობია. 2022 წელს 36 წლის ვიქნები. მშვენიერი დასასრული იქნება კარიერის. მერე იქნებ შვილმა გააგრძელოს.

# გიორგი ჩაკვეტაძის კიდევ ერთი აღიარება

იტალიურმა მედიამ 1999 წელს დაბადებულ ტალანტთა სიმბოლური გუნდი შეადგინა, რომლებიც უკვე მოხვდნენ ევროპული სატრანსფერო ბაზრის მოვლენათა ცენტრში. რჩეულთა შორის ერთი ქართველია – გენტის ნახევარმცველი გიორგი ჩაკვეტაძე.



ვნახოთ, რას წერს მედია.

– წინა წელმა საფეხბურთო მსოფლიოს ბრწყინვალე ტალანტები მოუვლინა. არც ის არის გასაკვირი, რომ ზოგიერთი მათგანი უკვე მოექცა სატრანსფერო ისტორიებისა თუ ჭორების ეპიცენტრში. მათი ისტორიები იმდენად განსხვავებულია ერთმანეთისგან, როგორც თავად ისინი. ავიღოთ ჯანლუიჯი დონარუმა. ის არ ჩამოდიოდა გაზეთებისა და ჟურნალების პირველი გვერდებიდან, ახლა კი დონარუმა მილანთან ერთად ჩემპიონთა ლიგაზე ოცნებობს, რაც არ უნდა იყოს, იოლად ასასრულებელი ოცნება.

სამაგიეროდ, მატეის დე ლიხტი ახლა პირველი ვარსკვლავია. ეჭვს გარეშეა, რომ ის მსოფლიო კლასის ცენტრალური მცველი გახდება. დე ლიხტი ჰოლანდიური ფეხბურთის მომავალია და კიდევ იმ კლუბისა, სადაც ის აიაქსიდან წასვლის შემდეგ გადავა. ვის სურს დე ლიხტი? მთელ მსოფლიოს. ბარსა, რეალი, იუვენტუსი, მოკლედ, ყველა...

ბენფიკაში 2 ტალანტი თამაშობს – ჟედსონ ფერნანდესი და ჟოაო ფელიქსი. ვის სურს ისინი? პრაქტიკულად ყველას! სად წავლენ? ვინც უფრო მეტს გადაიხდის. ყველაფერი ჟორჟე მენდეშის ხელშია. არის კიდევ ბრაგას ტრინკანი, რომელსაც იუვენტუსი აკვირდება და უახლოეს სეზონებში, ალბათ, თავისთან წაიყვანს.

მსოფლიოს ტალანტთა სია ჩაკვეტაძიდან ბარკომდე – 99-წლიანელთა მთავარი სახეები ყურადღების ცენტრში არიან სატრანსფერო სეზონში. გიორგი ჩაკვეტაძის შესახებ ბევრს ჭორაობენ, რომ სერია ა-ში გადადის. სიაშია ლევერკუზენელი კაი ჰავერციც, ვისაც დორტმუნდი და ბაიერნი აკვირდებიან. ატლანტას ჰყავს მარგალიტი ესეკიელ ბარკოს სახით, რომელიც ხელგაშლილ შემოთავაზებას ელოდება ევროპიდან. მისი დამატება მადრიდის ატლეტიკოს სურს.

იტალიური მედიის სიმბოლური ნაკრები ასეთია:

ჯანლუიჯი დონარუმა (მილანი), მატეის დე ლიხტი (აიაქსი), კაი ჰავერცი (ლევერკუზენი), ჟედსონ ფერნანდეში (ბენფიკა), ჟოაო ფელიქსი (ბენფიკა), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი), აბდულკადირ ომური (ტრაბზონი), ტრინკანი (ბრაგა), ესეკიელ ბარკო (ატლანტა), ელიფ ელმასი (ფენერბაჰჩე), ემერსონი (ატლეტიკო მინეირო).

# პეპ გვარდიოლა: „ბინძურ ხრიკებს არასდროს მივმართავ“



პრემიერლიგაში ლივერპულმა პირველი მარცხი გასულ ტურში მანჩესტერ სიტისთან იწვნია. ეს გუნდები ჩემპიონობისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტები არიან და ლივერპულელთა მოგება უდიდესი ნაბიჯი იქნებოდა ტიტულის მოსაპოვებლად.

სიტიმ 2:1 იმარჯვა, ლივერპული კი ვერ იყო ისეთი, როგორიც სეზონის მანძილზე. ზოგიერთი ექსპერტისა და ჟურნალისტის აზრით, ეს მერსისაიდელებს „მოუწყვეს“. ვარაუდობენ, რომ პეპ გვარდიოლამ მოედნის ფლანგებზე სტადიონის სამეურნეო სამსახურს ბალახი სტანდარტულ ზომაზე არ გააკრეჭინა, რადგან მაღალი ბალახის პირობებში გუნდებს სწრაფი თამაში უჭირთ. ლივერპული კი ასეთი თამაშის სტილის მიმდევარია.

ამ უაზრო ბრალდებას თავად გვარდიოლამ უპასუხა:

– ბალახის მომვლელი არ ვარ... ლივერპულს უნდა სწრაფად თამაში? მაშინ, ჩვენ უფრო სწრაფად გვინდა. არასოდეს, ჩემი 10-წლიანი სამწვრთნელო კარიერის მანძილზე, ასეთი რამ არ მიკადრია. ყოველთვის ვარწყვევინებ მინდორს, მაგრამ იმ დღეს წვიმდა და ამის აუცილებლობა არ იყო. ყოველთვის ვცდილობ, რომ სათამაშო კონდიცია ორივე გუნდისთვის მისაღები იყოს, არასოდეს მივმართავ ბინძურ ხრიკებს.

როდესაც ასეთ თამაშს თამაშობ, არ ვიცი, რატომ, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც შენ ისჯები, ამიტომ უნდა დააფასო მოწინააღმდეგე და კარგი პირობები შეუქმნა.

# ჭკვიანმა ბიუსჰალტერმა ინტერნეტი დაიპყრო




კომპანია შომა-მ გამოფენაზე წარმოადგინა ქალის უჩვეულო თეთრეული, რომელსაც Bluetooth-ის მხარდაჭერა აქვს. ჭკვიანი ბიუსჰალტერი ქალს ეხმარება საკუთარი მკერდის ზომის განსაზღვრაში. ამისთვის მან ის უბრალოდ უნდა გაიკეთოს.

შომაინნოფიტ-ი ფაქტიურად მკერდის ზომის განსაზღვრის პრობლემას ჭრის. კომპანიაში დარწმუნებულნი არიან, რომ ქალების 75-დან 80 პროცენტამდე ატარებენ ისეთ ბიუსჰალტერებს, რომლებიც მათი მკერდის ზომას არ შეესატყვისება. მათი ნაწარმი კი ამ პრობლემას ყველას დაავიწყებს.

ფოტოზე, რომელზეც ჭკვიანი ბიუსჰალტერია გამოსახული, ჩანს წითელი ზოლი, რომელიც იმ ადგილის გასწვრივ მიემართება, რომელიც მკერდის ზომის განსაზღვრისთვისაა აუცილებელი. ზოლი იკვრება ნარინჯისფერ სწორკუთხასთან, რომელიც Bluetooth-ით და სენსორებითაა აღჭურვილი. ბიუსჰალტერი უკავშირდება მოწყობილობას, რომელიც მფლობელის მკერდის ზუსტ ზომას განსაზღვრავს.

აღსანიშნავია, რომ შომაინნოფიტ-I არ არის ერთჯერადი მოხმარების და მისი გამოყენება შეიძლება მფლობელის წონის შეცვლის ან ფეხმძიმედ ყოფნის დროსაც, რაც მას საკუთარ გარდერობში ცვლილების შეტანის საშუალებას მისცემს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აკუმულატორი, რომლითაც ბიუსჰალტერია აღჭურვილი, 200 გაზომვას ყოფნის, თუმცა ამავე დროს მისი ხელმეორედ დატენვა შეუძლებელია.

ჭკვიანი ბიუსჰალტერი შომა-ს ვებ გვერდზე ერთ დღეში გაიყიდა, ხოლო მაღაზიებში ის 23 იანვრიდან გამოჩნდება. მისი სასტარტო ფასი 25 დოლარი იქნება, ამას დამატებული 25 დოლარი შესატანი. თავისუფალ გაყიდვაში კი მისი ფასი 60 დოლარი იქნება.

# პავარი ბავარიელია



\გერმანიის ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მიუნხენის ბაიერნმა ზამთრის პირველი შენაძენი განახორციელა. ბენჟამინ პავარი, რომელიც საფეხბურთო კლუბ შტუტგარტის ღირსებას იცავს, 2019 წლის 1 ივლისიდან „რეკორდმაისტერს“ შეუერთდება.

ამის შესახებ ინფორმაციას მიუნხენის ბაიერნის სპორტული დირექტორი ჰასან სალიჰამიჯიჩი ავრცელებს, რომელმაც დოჰაში გამართული პრესკონფერენცია სწორედ ზემოხსენებული სიახლით გახსნა.

ჰასან სალიჰამიჯიჩი:

– ბენჟამინ პავარი 2019 წლის 1 ივლისს შემოგვიერთდება. მან ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ეს არის ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელმაც უკვე მოასწრო მსოფლიოს ჩემპიონად გახდომა. ამით ძალიან გახარებულები ვართ და ვამაყობთ, რომ საკუთარი რიგები ასეთი დონის ფეხბურთელით შევივსეთ.

22 წლის ფეხბურთელს შეუძლია როგორც დაცვის ცენტრალურ ზონაში თამაში, ასევე მარჯვენა პოზიციის დაკავება. რუსეთში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის დროს, საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში მან 6 მატჩი ჩაატარა. მის მიერ არგენტინის წინააღმდეგ გატანილი გოლი კი მუნდიალზე საუკეთესოდ აღიარეს.

ბავარიულ კლუბში პავარი კორენტინ ტოლისოს შემდეგ მეორე ფეხბურთელი იქნება, რომელიც მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ატარებს.

# ავსტრალიელმა მოუხერხებელი ძვირადღირებული სამოსი მასხრად აიგდო



ავსტრალიელმა ქალბატონმა, სახელად ლაურამ, რომელიც ბლოგის ავტორია, ინსტაგრამში გამოაქვეყნა პაროდიული ფოტო, რომელშიც დასცინა ძვირადღირებულ სამოსს, რომელშიც მოდელი იყო გამოწყობილი. ქალს უამრავმა ინტერნეტ-მომხმარებელმა დაუჭირა მხარი.

დაცინვის ობიექტად იქცა ბიკინის რეკლამა განკუთვნილი მეტისმეტად მაღალი თეძოებისთვის. მოდური საცურაო კოსტუმის ფასი 50 ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

ლაურას აზრით, ბრენდის მფლობელები მომხმარებლებს საკმაოდ ძვირად სთავაზობენ მოუხერხებელ და ულამაზო ჩასაცმელებს.

– ეს 50 ფუნტი ღირს, არადა ჯერ იანვარია, – დაწერა კომენტარში ავსტრალიელმა.

მოდელის ფოტოს რომ დამსგავსებოდა, ქალმა ბავშვის მოკლე მაისური ჩაიცვა და სუპერმენის კოსტიუმის სარტყელი, ხოლო საკუთარი ინტიმური ადგილები სმაილიკით დაფარა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# მანჩესტერული ამბები

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ზიცია ჯერჯერობით უცნობია და ერთი შეხედვით არც ისე მარტივი, ვინაიდან მოწინააღმდეგე გუნდის რიგებში გადასვლით კოუტინიოს „ენფილდზე“ თავისი რეპუტაციის საბოლოოდ მოსპობა მოუწევს.

თავის მხრივ, ადვილად წარმოსადგენია, რატომ სურს იუნაიტედს კოუტინიოს შეძენა: მის მიერ პრემიერ ლიგაში გატარებული პერიოდით დაამტკიცა, რომ უმაღლეს დონეზე თამაში შეუძლია და შესანიშნავად ჩაანაცვლებს ალექსის სანჩესს, რომელსაც „ოლდ ტრაფორდზე“ თავისი თამაში ჯერ კიდევ ვერ უპოვია.

ბარსელონადან კოუტინიოს კონტრაქტის გამოსასყიდ თანხად დაახლოებით 100 მილიონი გირვანქა სტერლინგი სახელდება და მის გადასახდელად მზად იქნება ჩელსიც, რომელსაც ედენ აზართან განშორების საფრთხე ემუქრება.

თუ მანჩესტერის ხელმძღვანელობას ახალი ფეხბურთელების დამატება სურს, თავად ფეხბურთელებს ოლე გუნარ სოლსკიაერის, გუნდის მთავარი მწვრთნელის ხანგრძლივი ვადით ხილვა უნდათ.

მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი სოლსკიაერი გუნდში სეზონის ბოლომდე დარჩება, იუნაიტედის ხელმძღვანელობა კი ახალი მთავარი მწვრთნელის ძიების პროცესში არის ჩართული, რათა გაძევებული ჟოზე მოურინიო ჩაანაცვლონ.

მიუხედავად იმისა, რომ ტოტენჰემის თავკაცი მაურისიო პოჩეტინო უპირველეს სამიზნედ რჩება, „ოლდ ტრაფორდზე“ მოასპარეზე ფეხბურთელებს ოლე გუნარის შენარჩუნება ურჩევნიათ.

გულშემატკივართა საყვარელმა ნორვეგიელმა თავის მხრივ ყველა პირობა შექმნა სამუშაოს უფრო ხანგრძლივად ჩასაბარებლად, მოიგო რა ხუთიდან ხუთივე მატჩი და ათამაშებს რა გუნდს მოურინიოსთან შედარებით კონტრასტული სტილის, შემტევ ფეხბურთს.

ოლე გუნარის ხელმძღვანელობით კლუბის წამყვანი ფეხბურთელები უფრო პროდუქტიულები გახდნენ და მათზე დაკისრებულ სამუშაოს პირნათლად ასრულებენ, რაც სრულიად განსხვავდება მოურინიოს პერიოდის მიდგომისგან, როცა ნახევარმცველების უმთავრეს მოვალეობას პირველ რიგში თავდაცვა წარმოადგენდა.

45 წლის ნორვეგიელი არ მალავს, რომ „ოლდ ტრაფორდზე“ დარჩენა და დიდხანს მუშაობა სურს და კლუბის აღმასრულებელი დირექტორი ედ ვუდვორდიც მოხარულია მის მიერ გაწეული სამსახურით მოკლე ვადაში.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ასტროპროგნოზი
## 10 იანვრისათვის



**ვერძი** – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – ზედმეტი თავდაჯერებულობაც და გაუბედაობაც დაგაზარალებთ. ზომიერება დაიცავით. **მორიელი** – კრიტიკული დღეა. განერვიულებული და გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სახელმწიფო ახლო-აღმოსავლეთ აზიაში; 2. სამკითხაო ქვიშა; 3. რაიმე მოვლენის განვითარებისა და შედეგების წინასწარ განჭვრეტა; 4. ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება; 7. მინერალური წყალი სამეგრელოში; 9. ხეობა სტეფანწმინდას რაიონში; 12. ცნობილი ამერიკელი ჯაზმენი; 14. თაფლიანი ფიჭა; 15. ფირმა „კოდაკის“ დამფუძნებელი; 17. აეროპორტი ოსლოში; 20. ღვინის თიხის სასმისი.

**თარაზულად:** 5. მდინარე ვაშინგტონში; 6. მაკლერის გასამრჯელო სავაჭრო გარიგებაში; 8. ბაზრის სახელწოდება ძველად საქართველოში; 10. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 11. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 13. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი წყლის წყარო; 16. ენის ბგერითი შედგენილობის შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 18. ფრანგი მწერალი, ავანგარდისტი მხატვარი, კინორეჟისორი; 19. სამონასტრო კომპლექსი გორის მახლობლად; 21. აეროპორტი ლონდონში; 22. ჭადრაკის პარტიის დასკვნითი ნაწილი; 23. სამცხე-ჯავახეთის მმართველთა ტიტული.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. რუზინე; 2. სუძუკი; 3. ენოლოგია; 4. ალდაგი; 6. თიკანაძე; 8. სტრიპი; 11. საგურამო; 12. სატურნი; 16. ტაიგა; 17. ბლიცი; 18. ბრერა.

**თარაზულად:** 1. რაფსოდი; 5. თართი; 7. ენისელი; 9. იოგურტი; 10. ბავარია; 13. პუდინგი; 14. ლაღიძე; 15. ბანი; 19. დუმფარა; 20. კლიასერი; 21. ქაფიანიძე; 22. ბოჰემა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. საფიხვნო; 2. გერბი; 3. მჭედლიძე; 4. ლინატე; 7. რკონი; 9. არიბა; 12. ბრანდვახტი; 14. დიქცია; 15. სვანეთი; 17. ჰოოპუნა; 20. უწერა.

**თარაზულად:** 5. ბაბუშერა; 6. კაჭკაჭი; 8. გობსეკი; 10. ჩანადირი; 11. ანკერი; 13. მწევარი; 16. პარალიზი; 18. ფორდი; 19. სამოა; 21. რწყილი; 22. მთიულური; 23. გრანიტი.

# სოფო ნიჟარაძე დავით დოიაშვილმა სპექტაკლში მიიწვია



მომღერალი სოფო ნიჟარაძე რეჟისორმა დავით დოიაშვილმა თავის ახალ სპექტაკლში მიიწვია.

„შეყრა“ – ასე ჰქვია სპექტაკლს, რომელიც თბილისური ვოდევილია და მისი პრემიერა 24 იანვარს მუსიკისა და დრამის თეატრში გაიმართება.

წლის პირველი საპრემიერო სპექტაკლისთვის მუსიკა კომპოზიტორმა რუსუდან მორჩილაძემ დაწერა, ტექსტები სიმღერებისთვის ირინა სანიკიძემ, ქორეოგრაფიაზე კი კოტე ფურცელაძემ იმუშავა.

დავით დოიაშვილის ახალ სპექტაკლში მონაწილეობენ სოფო ნიჟარაძე, გიორგი ვარდოსანიძე, არჩილ სოლოღაშვილი, ბადრი ბეგალიშვილი, გიგი ქარსელაძე, ლევან კახელი, ალექსანდრე ბეგალიშვილი, ანა ზამბახიძე, ანა ქურთუბაძე, ლაშა რამიშვილი, გიორგი ყველაშვილი, მარინა ჯოხაძე, სალომე ყიფიანი, ცისია მეტრეველი, ანა წერეთელი, გიორგი ტორიაშვილი, ნიკოლოზ ნანიტაშვილი, ტატო ჩახუნაშვილი, ჯეჯი სხირტლაძე და გოგა მოძმანაშვილი.

# „ღამის შოუ პირველზე“ ბაჩო ქაჯაიას ხელმძღვანელობით



მსახიობი ბაჩო ქაჯაია სულ მალე საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში იუმორისტულ გადაცემას „ღამის შოუ პირველზე“ წაიყვანს.

ყოველკვირეულ იუმორისტულს გადაცემას მუსიკალურად გააფორმებს ბენდი „ქონექშენი“ ია ტომაშის ხელმძღვანელობით.

გადაცემის საფუძვლად აღებულია ამერიკული, გვიანი საღამოს სატელევიზიო შოუს ფორმატი.

გადაცემის პირველი ნაწილი წარმოადგენს იუმორისტულ მონოლოგს აქტუალური თემების შესახებ. მეორე ნაწილი ეთმობა მოწვეულ სტუმართან ინტერვიუს. გადაცემაში მუსიკალური ნომრები და იუმორისტული მინიწარმოდგენები შესრულდება მოწვეული სტუმრის, ან მსახიობის ჩართულობით წამყვანთან და მუსიკალურ ბენდთან ერთად.

# განთავსდეს თბილისში ჯემალ ქარჩხაძის „იგის“ გრაფიტი



ამ ინიციატივით მანუჩარ გვიჩიანი გამოდის და დედაქალაქის ხელმძღვანელობას თბილისში ცნობილი ქართველი მწერლის ჯემალ ქარჩხაძის ნაწარმოების „იგის“ გრაფიტის განთავსების ინიციატივით მიმართავს:

– ჩემი იდეა მდგომარეობს შემდეგში, რომ დიდ კედელზე შესრულდეს გრაფიტი, ან თუნდაც მონუმენტი და ეს იყოს მთავარი სურათი ჯემალ ქარჩხაძის მიერ დაწერილი პრეისტორიული მოთხრობისა ,,იგი“. მის ქვემოთ კი განთავსდეს მწერლის ჯემალ ქარჩხაძის ფრაზები.... მაგალითად, „ცის თვალს ქვემოდან ღრუბლები აეფარნენ. ქვეყანაზე წვიმა მოვიდა. წვიმის ნესტიანი სუნი რომ იგრძნო, იგის სხეულში უცებ ნი გაჩნდა. ნი ლამაზი იყო.“ ან „რაღაცა ყველაფერშია. ყველაფერი რაღაცაა...“

ჩემი იდეის მიზანი არის ის, რომ ტურისტებიც და ქართველებიც ნახავენ და გაიცნობენ ამ შესანიშნავ მწერალსა და მის არაჩვეულებრივ მოთხრობას, გამონათქვამებს, აზრს მოთხრობისა, რომელმაც ჩემზე იმოქმედა და ძალიან მომეწონა.

# სამგლოვიარო განცხადებები

ხობის რაიონის ხეთის საშუალო სკოლის 1968 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკლასელი, ყველასათვის საყვარელი ადამიანი

**დავით (დათო) მაქსიმეს ძე ბუკია**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

დაკრძალვა: შაბათს, 12 იანვარს. ხეთაში.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# გრიგოლ ჩიგოგიძეს პიონერთა სასახლის ბაღში „ქეთო და კოტეს“ ქანდაკების დადგმა სურს

„პიონერფილმის“ ხელმძღვანელს გრიგოლ ჩიგოგიძეს პიონერთა სასახლის ბაღში „ქეთო და კოტეს“ ქანდაკების დადგმა სურს.

ზუსტად 70 წლის წინ რეჟისორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა ლეგენდარული ფილმი „ქეთო და კოტე“ გადაიღო.

ფილმში ქართული კინოს ნამდვილი თანავარსკვლავედი მონაწილეობს, მედეა ჯაფარიძე, ბათუ კრავეიშვილი, პეტრე ამირანაშვილი, შალვა ღამბაშიძე, თამარ ჭავჭავაძე, ვასო გოძიაშვილი, გიორგი შავგულიძე, ალექსანდრე ჟორჟოლიანი, აკაკი კვანტალიანი, სერგო ზაქარიაძე, ცეცილია წუწუნავა, სესილია თაყაიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ციციშვილი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი...

„პიონერფილმის“ ხელმძღვანელმა გრიგოლ ჩიგოგიძემ თავისი ნახევარსაუკუნოვანი სურვილი გააჟღერა, რომელიც პიონერთა სასახლის ბაღში „ქეთო და კოტეს“ ქანდაკების დადგმას ითვალისწინებს:



– 50 წელია, რაც პიონერფილმელებს გვინდა, პიონერთა სასახლის ბაღში, იქ, სადაც „ქეთო და კოტეს“ მრავალი ეპიზოდია გადაღებული, დაიდგას ამ პერსონაჟების ქანდაკება. ბატონ ვახტანგ ტაბლიაშვილს შეხვედრა მოვუწყვეთ და იქ დავსახეთ.

მე მაქვს ამ მთავრობის, იმ მთავრობის წერილები, არაო. იმიტომ, რომ, და ისეთ აბსურდებს მპასუხობენ, არ მინდა ხასიათი გაგიფუჭოთ. რა ვილონო, არ ვიცი?

აი, ქანდაკება!

აი, ადგილი!

მემორიალური დაფა, რომელიც 1993 წელს გავხსენით ბატონ ვახტანგთან ერთად.

# ეთერ თედიაშვილმა შუშის „ვეფხისტყაოსანი“ შექმნა



უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნებულმა ემიგრანტმა ეთერ თედიაშვილმა შუშის „ვეფხისტყაოსანი“ შექმნა.

ინფორმაცია ფოტოხელოვანმა გოგა ჩანადირმა გაავრცელა:

– გასაოცარი ამბავია, პირველად შეიქმნა მინის წიგნი, რომელსაც არა დეკორატიული, არამედ გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს.

ასეთი რამ გერმანიაში 20-წლიანი ცხოვრების შემდეგ ახლახან სამშობლოში დაბრუნებულმა ქალბატონმა ეთერ თედიაშვილმა გააკეთა.

მინის წიგნში „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე აფორიზმია შესული.

ქალბატონ ეთერს გეგმაში აქვს უფრო დიდი წიგნის შექმნა.

ნამუშევარი ქალბატონმა ეთერმა საჩუქრად პარლამენტისეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს გიორგი კეკელიძეს გადასცა და წიგნის მუზეუმში გამოიფინება.

ნამდვილად დიდი მოვლენაა მსოფლიო წიგნის ისტორიაში.

# სერგო ფარაჯანოვი 95 წლის გახდებოდა

კინორეჟისორი სერგო ფარაჯანოვი 95 წლის გახდებოდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მისმა მეგობარმა ფოტოგრაფმა იური მეჩითოვმა ხელოვანის ახალი ფოტო აღმოაჩინა, რომელიც არსად გამოქვეყნებულა.

სერგო ფარაჯანოვს ხელოვნების და სილამაზის ჯადოქარს უწოდებდნენ. იგი დაუვიწყარი დღესასწაულების ორგანიზატორი იყო და როგორც მისი მეგობრები ამბობდნენ, თვითონაც დიდი დღესასწაული იყო.

ხელოვანი 66-წლიანი ცხოვრების მანძილზე არაერთ უსამართლობას წააწყდა, თუმცა ამას არ დაუკარგავს მისთვის სურვილი, საყვარელი საქმე ეკეთებინა.

თბილისში დაბადებულ კინორეჟისორს მშობლიურ ქალაქში მუზეუმი არ აქვს. მისი თბილისური სახლიდან ერევანში ფარაჯანოვის მუზეუმისთვის თითქმის ყველა, 600-მდე ნივთი წაიღეს, მაგრამ საბედნიეროდ, არ აუხედავთ ზემოთ, სხვენში, სადაც დარჩენილია აკვანი, რომელშიც, სავარაუდოდ, ფარაჯანოვი იწვა, ვერცხლის პორტსიგარი, პატარა ხმალი და სხვა პატარ-პატარა საგნები.

კინორეჟისორს უახლოესი ადამიანები ხელოვნების და სილამაზის ჯადოქარს უწოდებდნენ. მათი თქმით, იგი სინამდვილესა და წარმოსახვას შორის ზღვარს შლიდა და გარშემომყოფებისთვის დაუვიწყარ დღესასწაულებს აწყობდა, რადგან თვითონაც ერთი დიდი დღესასწაული იყო.

– ყველაზე მეტი საშინელებაა სილამაზის ვერ შემჩნევა, – ამბობდა სერგო ფარაჯანოვი და რთულია, მას ამაში არ დაეთანხმო.

სილამაზის თავისებური აღქმა ჰქონდა. ეს რეჟისორის ფილმებშიც კარგად ჩანს. სერგო ფარაჯანოვი ცოტა ფილმს იღებდა. როგორც თვითონ წერდა, 23 არარეალიზებული სცენარი თაროზე ჰქონდა შემოდებული, მაგრამ ამას არაფრად მიიჩნევდა. ამბობდა, რომ დაუმთავრებელ შემოქმედებას თავის სიკვდილთან ერთად წაიღებდა, რომელიც გარდაიქმნებოდა საიდუმლოებად და ისევ უკან დაბრუნდებოდა.

მისი მეზობლების მტკიცებით, ტყუილია ამბავი, თითქოს ფარაჯანოვი ქართველებზე იყო განაწყენებული და ერევანში იმიტომ წავიდა. მას თბილისი უზომოდ უყვარდა. ავადმყოფი ფარაჯანოვი სომხებმა წაიყვანეს და უპატრონეს, მხოლოდ ნივთები მისი სახლიდან ჩუმად, ნელ-ნელა გაზიდეს.



ერევანში წასვლის წინ, რეჟისორი სახლის თითოეულ კედელს კოცნიდა, ესიყვარულებოდა და ცრემლებით ემშვიდობებოდა თბილისს.

შეუძლებელია დაივიწყო სერგო ფარაჯანოვის მიერ შვილისთვის ნათქვამი სიტყვები:

– მე შენთვის არაფერი მაქვს სათქმელი, ერთადერთი, როდესაც ცუდად იგრძნობ თავს, შეეხე ხალიჩას, იქ სითბოა! და ის მე ვარ!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# „ეს პროცესი გარდაუვალია, ჩვენ მეორე ეტაპზე ვართ“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

რატომ გააკეთეთო, მართლმადიდებლებს და ქრისტიანებს ხომ უწერიათ ასეთი რაღაცო, პასუხი იყო – რაც გავაკეთეთ, უკვე გავაკეთეთ და მაგის გადაკეთება მილიონები ჯდებაო.

როცა გაიგო მართლმადიდებელმა სამყარომ, რომ უნიკოდი ანუ გამხსნელი ამ ბარათების გაშიფვრის არის 666, მაშინ დაცქვიტა ყურები, დაიწყო ამ საქმის გამოძიება და გავიდნენ საოცარ შედეგებზე, ფაქტობრივად, გაეხსნათ აპოკალიფსი.

ეს ჩიპი არის ანტიქრისტეს ბეჭედი, რომლის შესახებაც სახარებაში გვიწერია.

***– რას ნიშნავს ანტიქრისტეს ბეჭედი?***

– არსებობს სულიწმინდის ბეჭედი. მონათვლის დროს, მირონს როცა გაცხებენ, გეუბნებიან, ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმინდისა. ბეჭედი სულიწმინდის არის სიმშვიდე, სიყვარული, სათნოება, ერთსულოვნება და ა.შ. ყოველივე კარგი, რაც არის, ეს ბეჭდები არის მინიჭება ადამიანისთვის და ამის უნარი ეძლევა უკვე მას სრულყოფილი სიმშვიდისთვის. ხოლო ანტიქრისტეს ბეჭედი არის ყოველივე ამის საწინააღმდეგო. ანუ ეს შფოთი, ახლა რომ შემოდის შენი უფლებების დაცვა, რომ შენ ესე იგი ყველაფრის უფლება გაქვს: მრუშობის, სიძვის, მამათმავლობის, ყველაფრის უფლება გაქვს, ეს არის შენი ძირეული უფლება და ამ უფლებების დაცვა არის ანტიქრისტეს ბეჭდები.

ბეჭედი იმიტომ ჰქვია, რომ ადამიანის აზროვნებას დაბეჭდავს და მომართავს აბსოლუტურად საწინააღმდეგო ტალღაზე.

***– რაიმე ბერკეტი თუ იქნება იმის დასაცავად, რომ არ შევიდეთ იმ ადამიანებთან კონტაქტში, ვინც ამ მიკროჩიპებს გვთავაზობს. წინასწარ ხომ არ არის საჭირო, რომ მოემზადოს ხალხი ამისთვის?***

– არა, ამას ჩვენ საზოგადოდ ვერ ვიტყვით, იმიტომ, რომ ყველა წინასწარმეტყველება უნდა ახდეს და ესეც მოხდება, ამას ვერავინ ვერ შეაჩერებს.

***– ანუ გარდაუვალია?***

– ეს გარდაუვალია, მაგრამ ცალკეულ ადამიანებს შეუძლიათ გადარჩენა. ჩვენ ასე ვერ ვიტყვით, რომ რაღაც ბერკეტი არსებობს, რომ ქვეყანა გადავარჩინოთ. არ შეგვიძლია.

***– და როგორ ადამიანებს შეუძლიათ გადარჩენა?***

– რა თქმა უნდა, მორწმუნე ადამიანებს, რომლებიც სწორად ცხოვრობენ, როდესაც ადამიანი ქრისტესთან კავშირში არის აღსარებითა და ზიარებით.

ვიცი ერთი ადამიანი, რომელსაც 7 ბეჭედი აქვს გაკეთებული. 7 ჩიპი ჩაუსვეს ძალით. ეს მოხდა რუსეთში, დაახლოებით 15 წლის წინანდელი ამბავია. ერთი-ერთი რაიონის დეპუტატი იყო, რაღაც-რაღაცები არ გააკეთა და ამიტომ გადაწყვიტეს, ასე მოქცეოდნენ. ეს ადამიანი თავისი ნებით რომ არ ისვამდა ჩიპს, ძალით ჩაუსვეს. თან მორწმუნე იყო, სულ ლოცვაში და იმ ჩიპებმა უბრალოდ არ იმუშავეს მის ორგანიზმში.

მერე მონასტერში მოხვდა და ის ახლაც იქ ცხოვრობს. ის ჩიპები მას ისევ შიგნით აქვს და, უბრალოდ, ისინი გამოსულია მწყობრიდან. ღმერთს, რომელმაც შექმნა მთელი სამყარო, ყველაფერი აბსოლუტურად, მას გაუჭირდება ჩიპების გამორთვა?!

***– ვინ იყო ოჯახი, ვინც ჩიპები გაიკეთა პირველად?***

– მსოფლიოში გავრცელებული იყო, რომ პირველ ოჯახს, ვინც ჩიპები გაიკეთა, ჩიფსონების ოჯახს ეძახდნენ. ისინი ამერიკაში ცხოვრობდნენ. როგორც მახსოვს, ეს 80-იან წლებში მოხდა.

***– თქვენი ვარაუდით, თუკი წინასწარმეტყველებას გავიხსენებთ, როდისთვის უნდა ველოდოთ აპოკალიფსს და როდის შეიძლება ამ ტენდენციამ საქართველომდეც მოაღწიოს?***

– ეს დამოკიდებულია თითოეულ ჩვენთაგანზე. წმინდა ადამიანების ლოცვას აქვს უნარი, რომ გადაწიოს მოვლენები. ეს შეიძლება დავაჩქაროთ და მალევე მოხდეს და შეიძლება გადავწიოთ და 7-8-10 წლის შემდეგ მოხდეს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს რომ მოხდება და 10 წელს არ გადასცილდება, ეს ცალსახაა.

ცხადყოფს ამას მოვლენები. ძალიან სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს ამ ჩიპების ჩანერგვა მთელ მსოფლიოში. ამის განცხადებები არსებობს ჯერ კიდევ წამყვანი პოლიტიკოსების. მსოფლიო ლიდერებიც ამაზე მეტყველებენ, რომ აუცილებელია დაჩიპვა ყველა მოსახლის იმისათვის, რომ მშვიდობა იყოს და უფრო გაკონტროლდეს მსოფლიო, არ იყოს ტერორიზმი და ა.შ.

ზოგადად, ბოლო ფაზა კაცობრიობის, რომელსაც მიჰყავს მესამე მსოფლიო ომამდე, დაიწყო ნიუ-იორკში, 2001 წელს, მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ორი ცათამბჯენის, ე.წ. ტყუპების აფეთქებით. ზუსტად ამ აფეთქების შემდეგ მოიპოვეს მსოფლიო ლიდერებმა ძალაუფლება და შეუძლიათ ნებისმიერ ადამიანს გაუჩერონ ანგარიშები, ნებისმიერ ქვეყანაში, თუ ტერორიზმთან იქნებიან ისინი ექვმიტანილები.

ეს პროცესი უკვე დაიწყო და მომავალში ვინც არ აყვება იმ პროცესებს, რასაც შემოგვთავაზებენ, ყველა იქნება ტერორიზმთან ეჭვმიტანილი და რას გაუკეთებენ, ეს ცალკე თემაა. აბა რისთვის აქვთ აშშ-ში მილიონობით შავი პლასტმასის კუბოები გამზადებული, რომელიც იმდენად ბევრია, ტერიტორიაზე რომ არის განთავსებული, კოსმოსიდანაც კი ჩანს?! აფრენილი აპარატიდან ჩვეულებრივად ფიქსირდება.

რატომ კეთდება დიდი ე.წ მომავლის პანსიონატები, რომლებიც მილიონობით ადამიანს იტევს და ჯერ არ ჰყავთ იქ არავინ შეყვანილი მუშა პერსონალის გარდა, რომლებსაც შესვლის წინ 15-წლიან კონტრაქტს უდებენ და უფლებას არ აძლევენ გარეთ გამოსვლის?!

**ლია მენაბდე**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

10 იანვრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6702 |
| ევრო | 3.0563 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.4072 |
| 100 რუსული რუბლი | 3.9826 |

## ამინდის პროგნოზი 10 იანვრისთვის




## 8 იანვრიდან




იორამ ჩადუნელი

# საზღაური

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 10 იანვრიდან

რომან გვენცაძე

# საბედისწერო გასროლა




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## ალისონი: „ლივერპულს ჩელსიზე მდიდარი ისტორია აქვს“



ლივერპულის მეკარემ ალისონ ბეკერმა ლივერპული ჩელსის შეადარა და თქვა, რომ ამ გუნდს უფრო მდიდარი ისტორია აქვს.

ალისონის თქმით, ჩელსის წარმატებული ეტაპი 90-იანების ბოლოს დაიწყო, ხოლო ლივერპულს იმ დროისთვის უკვე ოთხჯერ ჰქონდა ჩემპიონთა ლიგა მოგებული.

– როდესაც ლივერპული ავირჩიე, ჩელსიც მეპატიჟებოდა, მაგრამ ყოველთვის ლივერპულს ვანიჭებდი უპირატესობას, რადგან ამ გუნდს მდიდარი ისტორია აქვს. ჩემი ოცნებაა ჩემპიონთა ლიგის მოგება და ლივერპულთან ერთად ამის მეტი შანსი მაქვს, – განაცხადა ალისონმა.

## ტომას ტუხელი დემბელეზე: „ის ცოტათი გიჟია“

პსჟ-ს მწვრთნელმა ტომას ტუხელმა ის პერიოდი გაიხსენა, როდესაც უსმან დემბელე დორტმუნდის ბორუსიაში თამაშობდა, ტუხელი კი ამ გუნდის მწვრთნელი იყო. ტუხელის თქმით, დემბელესთან მუშაობა ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ის ცოტათი გიჟია და ზოგჯერ დისციპლინას არ იცავს:



– როდესაც დემბელეს ვარჯიშებზე ვუყურებდი, ეს დიდი სიამოვნება იყო, რადგან ის ძალიან ნიჭიერია. მასთან კარგი ურთიერთობა მქონდა, თუმცა ზოგჯერ ის დისციპლინას არღვევდა, რის გამოც სერიოზულად გვიწევდა საუბარი.

## გონსალო იგუაინი ჩელსიში გადადის



მილანის არგენტინელი ფორვარდი გონსალო იგუაინი კარიერას ჩელსიში გააგრძელებს. ის ლონდონში რამდენიმე დღეში ჩაფრინდება და ჩელსისთან კონტრაქტს ხელს მოაწერს.

მისი ტრანსფერი ლონდონელებს 40 მილიონი ევრო დაუჯდებათ.

იგუაინი, სავარაუდოდ, ალვარო მორატას შეცვლის, რომელიც ესპანეთში აპირებს დაბრუნებას.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# იუმორი

მიცვალებულს დასაფლავებისთვის ამზადებენ. ცოლი ნათესავს ეუბნება:

– ჰალსტუხი არ გაუკეთოთ, არ უყვარდა საცოდავს!

– კუბოში წოლაზე ხომ ჭკუა ეკეტებოდა!

•••

შვილი მშობლებს ეუბნება:

– დედა, მამა, მე ცალკე მინდა ვიცხოვრო, დამოუკიდებლად.

– ყოჩაღ, შვილო. შენი გადაწყვეტილება გვახარებს.

– ჰოდა, თქვენი ნივთები უკვე ჩალაგებულია.

•••

გოგო ბიჭს ეკითხება:

– რას აპირებ?

– უნდა მოგეფერო.

– და შენი მშობლები?

– ისინი არ მოგეფერებიან.

•••

ცოლი ქმარს საყვედურობს:

– ქორწილამდე კი მიმტკიცებდი, რომ ჩემთვის მზად იყავი თავიც კი გაგეწირა.

– კარგი, ჯანდაბას, მოიტანე ეგ შენი კატლეტები.

•••

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– გოგონი, თქვენთვის ოდესმე ვინმეს უთქვამს, რომ მერილინ მონროს გავხართ?

– არა.

– სწორეა, იმიტომ, რომ ჟერარ დეპარდიეს გავხართ.

•••

ზოოლოგიის გაკვეთილზე მასწავლებელმა კითხვა დასვა:

– აბა ვინ მიპასუხებს, რატომაა ქამბალა ბრტყელი?

– იმიტომ, რომ ვეშაპს შეუყვარდა და... – უპასუხა გიგიმ.

– გაეთრიე კლასიდან და მშობლების გარეშე სკოლაში არ მოხვიდე.

გიგი კლასიდან გადის, მასწავლებელი კი ახალ კითხვას სვამს:

– აბა ახლა ვინ მიპასუხებს, რატომ აქვს კიბორჩხალას გადმოკარკლული თვალები?

– იმიტომ, რომ იქვე იყო და ყველაფერი თავის თვალით ნახა, – შემოსძახა გარედან გიგიმ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## წყნარ ოკეანეში გემზე ოთხი ათასამდე მანქანა იწვის



წყნარ ოკეანეში გემს, რომელზეც 3,8 ათასი ავტომობილია დატვირთული, ცეცხლი გაუჩნდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საერთაშორისო სააგენტო ავრცელებს.

198 მეტრი სიგრძის ხომალდზე, რომელიც იაპონიიდან ჰავაისკენ მიემართებოდა ხანძარი რამდენიმე დღის წინ გაჩნდა. გემზე ეკიპაჟის 21 წევრი იმყოფებოდა. 16 მათგანის გადარჩენა მოხერხდა. ოთხი წყალში სიცოცხლის ნიშანწყლის გარეშე აღმოაჩინეს, ხოლო ერთი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

კონცერნ ნისანში დაადასტურეს, რომ გემს ამ მარკის 3,5 ათასი ავტომობილი გადაჰქონდა. გარდა ამისა, ხომალდზე კიდევ სამასზე მეტი მსუბუქი ავტომობილი და სამშენებლო ტექნიკა იყო დატვირთული. კომპანიას ამ დროისთვის ტვირთის მდგომარეობის თაობაზე ინფორმაცია არ გააჩნია. ნისანის წარმომადგენლებს მეზღვაურებისა და მაშველების მდგომარეობა აშფოთებთ.

გემზე ხანძრის გაჩენის მიზეზი უცნობია. ის ამ დრომდე იწვის და ეკიპაჟის გარეშე დინების მიმართულებით აგრძელებს მოძრაობას.

## მობარბაცე ბრიუს უილისი კლუბიდან ხელკავით გამოიყვანეს



ჰოლივუდის მსახიობმა ბრიუს უილისმა ლონდონის კლუბიდან გამოსვლის დროს ჟურნალისტებს შუა თითი დაანახა. მსახიობი ხელკავით მოჰყავდა მის მეგობარ სტივენ იადს, რომელიც შემდეგ მას ტაქსიში ჩაჯდომაშიც მიეხმარა.

როგორც ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა იუწყება, 63 წლის უილისი კერძო კლუბში ესწრებოდა წვეულებას, რომლის დრეს-კოდი შემსვლელებს კოსტიუმის ჩაცმას ავალდებულებს. თუმცა კლუბიდან გამოსვლისას მსახიობს კოსტიუმი არ ეცვა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ტოტენჰემი ერიქსენში 225 მილიონ ევროს ითხოვს



ბოლო პერიოდში ხშირია საუბრები იმის შესახებ, რომ მადრიდის რეალს სურს ტოტენჰემის დანიელი ნახევარმცველის კრისტიან ერიქსენის შეძენა და მას ლუკა მოდრიჩის შემცვლელად მოიაზრებს, თუ ის გუნდს დატოვებს.

ტოტენჰემი ერიქსენის გაყიდვას არ აპირებს და მისი შეძენის მსურველს 225 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს.

რეალი ამ თანხის გადახდაზე, სავარაუდოდ, უარს იტყვის. ერიქსენს წელიწადნახევარში ტოტენჰემთან კონტრაქტი უმთავრდება, ამიტომ შესაძლოა ლონდონურმა კლუბმა ზაფხულში ერიქსენში უფრო ნაკლები თანხა მოითხოვოს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქართული ხალხური ზღაპარი; 2. ქვევრის ღვინოში არსებული მრთიმლავი ნივთიერება; 3. ბროწეულის წვენისგან მომზადებული საწებელი; 4. მექანიკური მუსიკალური საკრავი; 6. გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება; 8. გაზეთი, რომელიც ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა; 11. ბრტყელი ლოკოკინა, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 12. ცხოველთა სადგომი ზოოპარკში; 16. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 17. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია; 18. წმინდა გამარჯვება ძიუდოში.

**თარაზულად:** 1. ტროპიკებში მზარდი ეკლიანი ღეროს მქონე მცენარე; 5. ანტარქტიდის ინგლისელი მკვლევარი; 7. ძველებური ქართული, ბასრწვერიანი სატყორცნი საბრძოლო იარაღი; 9. ქორშევარდენთა გამწვრთნელი; 10. წმინდა ოქრო; 13. მგალობელი ჩიტი; 14. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 15. ესპანელი ფერმწერი; 19. ექიმის სპეციალობა; 20. ტბა სამხრეთ საქართველოში; 21. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 22. ბერძენი საოპერო მომღერალი ქალი.




*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*